ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ხუთშაბათი, 15 ივნისი, 2017 №140 (7375) ფასი: 50 თეთრი



## პარლამენტში კალაძის გამო იჩხუბეს

გვ.2

15 ივნისიდან
ფილიპ ჩესტერფილდი
წერილები ჩემს ვაჟს
ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი




# გადადგება თუ არა ირაკლი კობახიძე



გვ.2

## „ოცნება“ მაჟორიტარული სისტემის გაუქმებას 2024 წლამდე არ აპირებს

„ოცნებაში“ არ უარყოფენ, რომ პრეზიდენტის არჩევის წესის შეცვლა გიორგი მარგველაშვილის სიჯიუტეს უკავშირდება. მარგველაშვილი ბუნჩულა პრეზიდენტი რომ ყოფილიყო, „ოცნება“ აღარ მოითხოვდა წესების შეცვლას.

პროპორციული სისტემის საწინააღმდეგოდ მაჟორიტარებს უამრავი არგუმენტი აქვთ. ერთ-ერთი ისაა, რომ თურმე მაჟორიტარის არჩევის დროს ამომრჩეველს სასურველი კანდიდატის არჩევა შეუძლია.

ეს რომ ასე არ არის, ეს 2016 წლის არჩევნებმაც დაადასტურა. არჩევნებში არც ერთ დამოუკიდებელ მაჟორიტარს არ გაუმარჯვია. ხაშურის გარდა, ყველა ოლქი „ოცნების“ კანდიდატებმა მოიგეს. მათზე აქტიურად მუშაობდნენ პარტია და ადმინისტრაციული რესურსი. რამდენიმე მაჟორიტარმა ძალიან დიდი ძალისხმევა გასწია, რომ „ოცნების“ კანდიდატი გამხდარიყო.

## დიმიტრი შაშკინი: „2012 წელს კახეთში რუსეთის შემოჭრას გადავურჩით“



ლაფანყურის საქმის სკანდალური აღიარება – ავსტრიაში დაკავებული მებრძოლი მუჰამედ იბრაგიმოვი ამტკიცებს, რომ რუსეთის სპეცსამსახურების აგენტი იყო

გვ.3



## ადა მარშანია: „რუსეთთან ლაპარაკისთვის დღესვე მზად ვარ“

გვ.4

## ია ანთაძე: „გოგი გვახარიას და სალომე ასათიანის გადაცემები 17 ივლისს დაიხურება“



„საზმაუზე იანვრამდე მხოლოდ „მოამბე“ გავა“

გვ.4



## ზაზა ხატიაშვილი: „ნარკოტიკების ლიბერალიზაცია საქართველოს დაღუპავს“

„ივანიშვილი საკუთარ თავს უწყობს საბოტაჟს“

გვ.3



## გურამ ვახტანგაშვილი: ცხინვალში დაბრუნებულ ქართველებზე ზეწოლა არ უნდა იყოს

გვ.5

## სუს-ის ანტიკორუფციულმა სააგენტომ ქრთამის მოთხოვნის ფაქტზე ერთი პირი დააკავა



გვ.4

ISSN 1987-9385

## რუსეთი ამერიკის წინააღმდეგ ქალებსაც იყენებს

გვ.8

# გადადგება თუ არა ირაკლი კობახიძე

## „ოცნება“ მაჟორიტარული სისტემის გაუქმებას 2024 წლამდე არ აპირებს

შორენა მარსაგიშვილი

საკანონმდებლო ორგანოს შესაძლოა ახალი თავმჯდომარის მოძებნა დასჭირდეს. „ქართული ოცნება“ მაჟორიტარებთან ომში დამარცხდა, ირაკლი კობახიძემ კი რამდენიმე კვირის წინ განაცხადა, თუ მთლიანად პროპორციულ სისტემაზე არ გადავალთ, გადავდგებიო.

მაჟორიტარების ნაწილი და მათ დაკრულზე აცეკვებული სიით გასული რამდენიმე დეპუტატი საკონსტიტუციო ცვლილებების მხარდაჭერაზე უარს აცხადებს, თუ მათი პირობები არ შესრულდება. პირობა კი მაჟორიტარული სისტემის შენარჩუნებაა.

მედიაში უკვე დიდი ხანია მიდის საუბარი იმაზე, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობა საკონსტიტუციო ცვლილებების მისაღებად საჭირო ხმებს ვერ აგროვებს. აქამდე „ოცნება“ ამ ინფორმაციას უარყოფდა. გუნდში არსებული დაპირისპირება მხოლოდ ამ დღეებში აღიარეს.

13 ივნისს პარლამენტის თავმჯდომარე „ქართული ოცნების“ ოფისში უმრავლესობას შეხვდა. ირაკლი კობახიძე დეპუტატების დარწმუნებას შეეცადა.

შეხვედრის დაწყების წინ დეპუტატმა ნუკრი ქანთარიამ განაცხადა, რომ თუ მაჟორიტარული სისტემა არ დარჩა, უმრავლესობაში განხეთქილებაა მოსალოდნელი.





კობახიძის შეგონებებმა დეპუტატებზე დიდად ვერ იმოქმედა. ისინი ისევ თავის აზრზე დარჩნენ.

ნუკრი ქანთარია შეხვედრის შემდეგ უკვე იმას აცხადებდა, რომ თუ მაჟორიტარული სისტემა არ დარჩება, საკონსტიტუციო ცვლილებები ჩავარდება.

გაცილებით უფრო ოპტიმისტურად გამოიყურებოდა ვიცე-სპიკერი გია ვოლსკი. ის საკონსტიტუციო ცვლილებების ჩავარდნას გამორიცხავდა.

მისი თქმით, საკონსტიტუციო ცვლილებებს მანამდე არ ეყრება კენჭი, ვიდრე საბოლოო შეთანხმება არ მოხდება.

ვოლსკი დარწმუნებულია, რომ უმრავლესობა შეთანხმებას მიაღწევს. მისი თქმით, ორივე მხარეს დამაჯერებელი არგუმენტები აქვს. თავად ვოლსკის ჯერ არ გადაუწყვეტია, მაჟორიტარული სისტემისკენ უნდა გადაიხაროს თუ პროპორციულისკენ. ვოლსკი ამ მოწვევის პარლამენტში მაჟორიტარის სტატუსით არის წარმოდგენილი.

სავარაუდოდ, ამ საკითხზე შეთანხმება უკვე მიაღწიეს. „ოცნებაში“ ამბობენ, რომ ქვეყანა პროპორციულ სისტემაზე 2024 წელს გადავა.

ეს სასიამოვნო სიახლე ერს საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა არჩილ თალაკვაძემ აუწყა. მისი თქმით, მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის გაუქმების თარიღთან დაკავშირებით გუნდში გაცხოველებული მსჯელობა მიმდინარეობს.

თალაკვაძის თქმითვე, უმრავლესობა თანხმდება იმაზე, რომ არსებული საარჩევნო სისტემა უფრო დემოკრატიული სისტემით უნდა შეიცვალოს.

– ჩვენ პოლიტიკა მთლიანად ხალხის საჭიროებებზე უნდა გადავრთოთ. რაც შეეხება საკონსტიტუციო ცვლილებებს, არსებული საარჩევნო სისტემა უფრო დემოკრატიული სისტემით აუცილებლად შეიცვლება. უმრავლესობას რომელიმე საარჩევნო მოდელის მხარდაჭერა არ აერთიანებს, არამედ პროგრესის მხარდაჭერა აერთიანებს და 13 ივნისს გამართული კონსულტაციების შემდეგ, კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ უმრავლესობის აბსოლუტურად ყველა წევრი დემოკრატიის შემდგომ გაძლიერებას უჭერს მხარს.

რაც შეეხება კონსტიტუციის ახალი პროექტის კენჭისყრას, ამასთან დაკავშირებით უმრავლესობა შეთანხმებული პოზიციით იმ სესიებზე გამოვა, რომლებიც საკონსტიტუციო განხილვას მიეძღვნება და ეს ივნისის მეორე ნახევარში იქნება, – განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

დემოკრატიით გაჟღენთილი გუნდის ლიდერი ამბობს, რომ მაჟორიტარული სისტემის გაუქმება მარტივი გადასაწყვეტი არ იქნება.

მან მედიასთან საუბარში დაადასტურა ხელისუფლების კულუარებში გავრცელებული ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, პროპორციულ სისტემაზე გადასვლა 2020 წლის ნაცვლად



2024 წელს მოხდება.

თალაკვაძე პირობას დებს, რომ ადრე თუ გვიან, საქართველო პროპორციულ სისტემაზე აუცილებლად გადავა.

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის განცხადებამ პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი ანა დოლიძე აღაშფოთა.

მისი თქმით, ამ საკონსტიტუციო ცვლილებებში ერთადერთი კარგი პროპორციულ სისტემაზე გადასვლა იყო.

– ის დაპირება, რომ ახალ კონსტიტუციაში იქნება პროპორციული საარჩევნო სისტემა, ჩვენ მიგვაჩნია ერთ-ერთ პოზიტიურ ცვლილებად და ეს არის აღნიშნული ვენეციის კომისიის წინასწარ დასკვნაში.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# პარლამენტში კალაძის გამო იჩხუბეს

შორენა მარსაგიშვილი

ქართული ენერგეტიკის მამის, კახა კალაძის გამო, 14 ივნისს პარლამენტში დიდი ამბები დატრიალდა.

კალაძის საეჭვო კავშირებით შეწუხებულ ოპოზიციას საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა სათავისო დიაგნოზი დაუსვა. მისი თქმით, ოპოზიციას კალაძის მაღალი რეიტინგი არ აძლევს მოსვენებას.

„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი კანდელაკმა კალაძე ნარკოტიკების ჩადებასთან დააკავშირა. დეპუტატის თქმითვე, ვიცე-პრემიერმა ჩადების წინააღმდეგ რამდენიმე დღის წინ მოწყობილი აქცია საკუთარი მიზნებისთვის გამოიყენა.

ოპოზიციონერმა „ოცნების“ ნებიერა კანონიერ ქურდებთან კავშირშიც დაადანაშაულა. მან 2016 წელს მომხდარი კორცხელის ინციდენტი გაიხსენა. ოპოზიცია დღემდე ამტკიცებს, რომ ამის უკან კალაძე იდგა და ოპოზიციონერები მისმა ზონდერებმა გაიფინეს წიხლქვეშ.

– კარგად გვახსოვს 2015 წლის 3 ოქტომბერს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები, როცა ერთ-ერთ დელეგატს, სწორედაც რომ ნარკოტიკი ჩაუდეს იმისთვის, რომ არჩევნების შედეგებზე მოეხდინათ გავლენა და ეს დელეგატი არჩევნების დამთავრების მერე გაათავისუფლეს. იმ მოვლენების ყველა მონაწილე ამის ორგანიზატორად სწორედ კახა კალაძეს მიიჩნევს.

ასევე კარგად გვახსოვს კალაძის ახლო და თბილი დამოკიდებულება ქურდულ სამყაროსთან. რად ღირს თუნდაც კანონიერი ქურდის, „რემენას“, აეროპორტიდან გაუჩინარების ისტორია. მას სახელმწიფოს საზღვარიც კი არ გადაუკვეთავს და კამერებმა



დააფიქსირეს, რომ კანონიერი ქურდი სწორედ კალაძის ბიზნესპარტნიორმა გამოიყვანა.

არც კორცხელი დაგვიწყებია – კალაძის როლი იმ ძალადობრივი და ექსტრემისტული დაჯგუფების ორგანიზებაში. როცა გიორგი კვირიკაშვილი პოლიციის ავტორიტეტზე წუხს, ჯობია, ზემო ეწერის განყოფილების თანამშრომლებს ჰკითხოს, რამდენად გრძნობენ დაცულად პოლიციის ავტორიტეტს მთავრობისაგან, როცა კორცხელის ძალადობისგან ერთი წლის შემდეგაც არ არიან დასჯილი ის პირები, ის კრიმინალები, რომელთაც პოლიციის ოფიცერს სცემეს, – განაცხადა გიორგი კანდელაკმა.

მისმა თანაპარტიელმა სერგო რატიანმა ენერგეტიკის მინისტრი გაზპრომთან გაფორმებული ხელშეკრულების გამო შეაჩვენა.

ამ გასაიდუმლოებული ხელშეკრულების გამო კალაძეს გუნდშიც ბევრი აკრიტიკებს.

რატიანმა გაზპრომის ამბავი არჩილ თალაკვაძის განცხადების გამო გაიხსენა, რომელიც ამბრაზურასავით გადაეფარა მინისტრს. მან ლამის კალაძის მთელი ბიოგრაფია წაიკითხა, მხოლოდ ნაკრების კარში გატანილი 2 ავტოგოლი და ლიგის ფინალში ბუფონის კარში „გამაზული“ თერთმეტმეტრიანი გამორჩა.

– თქვენ იცით, სინამდვილეში ვინ არის კახი კალაძე და ამიტომ ხართ აღელვებული მოახლოებულ არჩევნებთან დაკავშირებით.

კახი კალაძე არის თანამედროვე პოლიტიკოსი. ადამიანი, რომელმაც შრომით, თანმიმდევრული, თავდაუზოგავი ვარჯიშით და მიზანსწრაფულობით მიაღწია წარმატებას სპორტში და გახდა მსოფლიო ვარსკვლავი.

თავის ქვეყანას ძალიან ბევრს უკეთებდა მაშინაც, შემდეგ კი ჩაერთო პოლიტიკაში. დღეს ის არის თანამედროვე პოლიტიკოსი, რომელსაც აქვს უშუალო კომუნიკაცია ხალხთან. ის არის 13 ივნისის მოვლენების ერთ-ერთი გმირი.

მოხალისეებთან ერთად, სტიქიის დროს იდგა თავის ხალხთან. ის არის ენერგეტიკის თანამედროვე მინისტრი, რომელმაც მოახდინა ახალი ტექნოლოგიების შემოტანა, მოახდინა ენერგიის ალტერნატიული წყაროების შემოტანა საქართველოს ენერგეტიკაში.

თქვენ გაღელვებთ მისი რეიტინგი, პოპულარობა და გაღელვებთ ის, რომ მას გუნდის სრული მხარდაჭერა აქვს. თქვენი საყვარელი სიტყვა მომდევნო თვეების განმავლობაში იქნება „კალაძე“. მე მომწონს, რომ თქვენთვისაც ასე პოპულარულია კახა კალაძე, – განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.



რატიანი, როგორც ყოფილი ნაციონალი, თალაკვაძეზე არანაკლებ კარგად იცნობს კალაძეს. სხვა თუ არაფერი, ენერგეტიკის მინისტრი ერთ დროს მათი ნებიერა იყო.

რატიანი უკმაყოფილო დარჩა იმით, რომ თალაკვაძეს კალაძის დახასიათებისას გაზპრომი არ გახსენებია.

– ისე იცავთ კალაძეს, თითქოს გაზპრომთან გაფორმებული ხელშეკრულების შესახებ არაფერი გსმენიათ. იქნებ ოდესმე წაიკითხოთ და ნახავთ იქ, კიდევ რა „საგმირო საქმეები“ აქვს გაკეთებული. ასევე ყველას ახსოვს ფეხბურთის ფედერაციის საქმე. კარგია, თბილისი გაიცნობს კიდევ უფრო მეტად, მაგრამ თქვენი „საგმირო საქმეები“ არ მთავრდება მხოლოდ ახალგაზრდების დაკავებით.

ბოლო კვირის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რამაც საერთაშორისო რეზონანსიც გამოიწვია, არის აზერბაიჯანელი ჟურნალისტის გატაცების ამბავი. აზერბაიჯანელ ჟურნალისტს თბილისის ცენტრში თავზე ტომარა გადააცვეს, გაიტაცეს და მეორე დღეს ის აღმოჩნდა სხვა ქვეყნის ციხეში, – განაცხადა რატიანმა.

მისივე თქმით, აზერბაიჯანელი ჟურნალისტის გატაცების ფაქტმა კიდევ ერთხელ შეახსენა საზოგადოებას და ახლა უკვე სრულიად ცხადი გახადა „ქართული ოცნების“ ხელისუფლების სამარცხვინო საქმე და სამარცხვინო სახე.



ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ზაზა ხატიაშვილი: „ნარკოტიკების ლიბერალიზაცია საქართველოს დაღუპავს“

## „ივანიშვილი საკუთარ თავს უწყობს საბოტაჟს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელი ზაზა ხატიაშვილი პასუხობს.

***— ბატონო ზაზა, ადამიანის უფლებების დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციები პრემიერ კვირიკაშვილს განცხადებას უგზავნიან, სადაც მუხთარლის და სხვა გახმაურებულ საქმეებზეა ყურადღება გამახვილებული. მოვისმინეთ განცხადებები, რომ საბოტაჟს აქვს ადგილი ხელისუფლების წინააღმდეგ. რას იტყვით თქვენ?***

— საბოტაჟს ვინ უწყობს ამ ხელისუფლებას?! მე და თქვენ ვერ მოვუწყობთ! საბოტაჟს უწყობენ ის ბინძური პოლიციელები და პროკურორები, რომლებიც ატერორებდნენ საქართველოს მოქალაქეებს სააკაშვილის რეჟიმის დროს და აგრძელებენ საქართველოს მოქალაქეების ტერორს ივანიშვილის ფეოდალური ხელისუფლების დროს!

***— ანუ შიგნით, სისტემაშია პრობლემა?***

— ასეა. როცა შენ გყავს ერთი და იგივე პროკურორი და ერთი და იგივე პოლიციელი, რომლებსაც აქვთ დანაშაულებრივი ფსიქიკა, შეუძლიათ ადამიანი ტყუილად დაიჭირონ, ვინ უნდა მოგიწყოს საბოტაჟი?! პატრულს, პოლიციას, პროკურატურას სააკაშვილის რეჟიმის დროს ფინანსურ დახმარებას უწევდა ივანიშვილი, ეს ფაქტი ყველას კარგად გახსოვთ. აქედან გამომდინარე, ამ კაცმა გადაწყვიტა მის მიერვე დაფინანსებული სამართალდამცავი სტრუქტურის შენარჩუნება. პლუს ივანიშვილის ხელისუფლებამ ჩაიდინა ისეთი რაღაცები, რაც არ გაუკეთებია სააკაშვილის რეჟიმს.

***— კონკრეტულად რას გულისხმობთ?***

— მე დაახლოებით ოთხი წლის წინ დავიწყე საუბარი, რომ საქართველოში უმართავი პროცესები მოხდებოდა, დაიწყებოდა აქტიური ჩადებები, იმიტომ, რომ პოლიციელებში იყო დაუსჯელობის სინდრომი. ყველაზე მეტად სააკაშვილს არ უნდოდა, გირგვლიანი რომ მომკვდარიყო მისი მმართველობის დროს, მაგრამ მოხდა და მოხდა იმიტომ, რომ სააკაშვილმა სამართალდამცავი უწყება მთლიანად მიუშვა, რაც გინდათ, ის ქენითო. იმ პერიოდში ყველაზე ცნობილ დამნაშავეებს კი ივანიშვილმა ხელი გადააფარა. იმ რეჟიმის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე დამნაშავეები იყვნენ ჩინჩალაძეები, მურუსიძეები, რომლებიც ივანიშვილმა შეინარჩუნა სასამართლო სისტემაში და დააწინაურა!

დღეს სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეა ჩინჩალაძე, ვისთანაც იყო ყველაზე მეტი კითხვის ნიშანი. ჩინჩალაძე არის ბოლო ინსტანცია. უზენაეს სასამართლოში საქმეების 95% არ განიხილება. საზოგადოებას ჩინჩალაძის მიმართ მეტი კითხვა ჰქონდა, ვიდრე ვანო მერაბიშვილის მიმართ. მაგრამ ივანიშვილის ფორმულაა — რაც არ უნდა დანაშაული ჩაიდინო, თუ დამემონები, შენ იქნები ხელშეუხებელი! აი, ამან მოიტანა ყველაფერი!

***— რა მოიტანა?***

— ბევრი დამნაშავე პოლიციელი დააწინაურა ივანიშვილის ხელისუფლებამ, რომლებსაც ადამიანის წამებაში ედებოდათ ბრალი. საბოტაჟი თავის თავს მოუწყო ივანიშვილმა. დამნაშავე ხალხი დატოვა ხელისუფლებაში. შეუძლებელია ამის გაკონტროლება, ეს უკვე მიშვებული პროცესია. სწორედ ამას გადაყვება ივანიშვილის ფეოდალური რეჟიმი. დღეს ღმერთმა დაგვიფაროს ახალი გირგვლიანების და ახალი ვაზაგაშვილებისგან, მაგრამ ყველაფერი აქეთ მიდის.

***— საით მიდის?***

— რომ პოლიციელები ჩადიან ათასგვარ სიბინძურეს, ხოლო სავარაუდო დამნაშავე პროკურორები არ იძიებენ მათ საქმეს. ჩვენ ვამბობდით 4 წლის წინ, რომ თუ არ შეიქმნებოდა დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი, ეს ივანიშვილისთვის იქნებოდა ცუდი. როცა თამაზაშვილმა დაიწყო ხელის ფათური ძალოვან უწყებაში, ეს იმთავითვე ნათელი იყო, რომ ცუდ შედეგს მოიტანდა! ივანიშვილის ხელისუფლებას ცოდვად მარტო ის ეყოფა, რომ ბავშვთა სამყარო გადაწვეს ძალიან საეჭვო ვითარებაში და ხელისუფლებამ ამაზე წაუყრუა.

***— პარლამენტი ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციაზე მსჯელობს. რამდენად უშველის ეს ჩადებების თემას და რას მივიღებთ საბოლოოდ?***

— დღეს ეს არის სახელმწიფო პოლიტიკა, რომ ნარკოტიკებს გაუკეთონ ლიბერალიზაცია და მთელი საქართველო გაანარკომანონ. რა გამარტივება, ხალხო, პირიქით, გამკაცრებაა საჭირო. როგორ შეიძლება ნარკოტიკების გაყიდვა?! წარმოგიდგენიათ, რა დონის ბინძური ხელისუფლება გვყავს, რომ განა იმ პოლიციელებს სჯის, ვინც ნარკოტიკებს უდებს, განა დამოუკიდებელ საგამოძიებო მექანიზმს ქმნის, არა, პოლიციელებს ხელშეუხებელს ტოვებს, რომლებმაც სავარაუდოდ დანაშაული ჩაიდინეს და ადამიანს ჩაუდეს, ხოლო მოსახლეობისთვის ნარკოტიკის თავისუფალ გაყიდვას უშვებს!

ამაზე დიდი უბედურება რა გინდათ, ხალხო?! ეს არის ქვეყნის დაღუპვა, დაქცევა, გაუბედურება! ჩვენთან სკოლაში არ ისწავლება, თუ რა მავნეა ნარკოტიკი. ვიხვეწები და ვერც ერთ განათლების მინისტრს ვერ მივაღებინე, რომ სავალდებულო სწავლება ყოფილიყო ამის! გამოფხიზლდეს მოსახლეობა და მიხვდეს, რომ ივანიშვილი მოვიდა ამ ქვეყნის გასანადგურებლად!

***— ანუ თქვენ ეწინააღმდეგებით ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციას?***

— დიახ, ეს გაანადგურებს ქვეყანას! რა ფორმულა აქვთ, მეტი ნარკოტიკი გაყიდონ და მეტი ბინძური ფული ჰქონდეთ?! კანონის ლიბერალიზაცია არის ამ სენის წახალისება. მიჩნდება ეჭვი, რომ ხელისუფლებას კავშირი აქვს ნარკოტიკების შემომტანებთან. თუ პოლიცია არ აფარებს ხელს შემომტანებს, ისეთ პატარა სახელმწიფოში, როგორიც საქართველოა, რანაირად უნდა შემოვიდეს და გაიყიდოს ნარკოტიკი? ეს ხომ წარმოუდგენელია?!



სასაცილოა დღეს პროკურატურის ქმედებები. ეს უკვე კომიკური დაწესებულებაა, რომელიც იმის მიხედვით მოქმედებს, თუ რა თქვა ბერა ივანიშვილმა ან მამამისმა. ბერა ივანიშვილმა დაგვანახა, მე და მამაჩემი ვმართავთ ამ ქვეყანასო! რა გამოდის, თუ არა ხარ ბერა ივანიშვილის მეგობარი და ჩაგიდეს ნარკოტიკი, უნდა წახვიდე ციხეში?!

რასაც ივანიშვილი აკეთებს, ეს რომ სააკაშვილს გაეკეთებინა, 200 ათასი კაცი იქნებოდა ქუჩაში. ივანიშვილს კი ტაშს უკრავენ. ასე როგორ დააჰიპნოზა ეს ხალხი ივანიშვილმა, ვერ გამიგია.

# სუბარი: „სააკაშვილმა დამირეკა, ასტრალში იყო გასული, მიყვიროდა“



— სანდრო გირგვლიანის საქმეზე ჩემ მიერ გაკეთებული კრიტიკული განცხადებების გამო მიხეილ სააკაშვილმა დამირეკა, ასტრალში იყო გასული, მიყვიროდა.

ამის შესახებ ყოფილმა სახალხო დამცველმა, დევნილთა და განსახლების მინისტრმა სოზარ სუბარმა სანდრო გირგვლიანის საქმის სასამართლო პროცესზე განაცხადა, სადაც საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს ბრალი აქვს წარდგენილი.

სუბარის განცხადებით, მას პირდაპირი კონტაქტი ჰქონდა მიხეილ სააკაშვილთან, რომელიც მოუწოდებდა, რომ საჯაროდ გირგვლიანის საქმეზე კრიტიკული განცხადებები არ გაეკეთებინა.

როგორც სუბარმა აღნიშნა, მიხეილ სააკაშვილთან სატელეფონო საუბრის შემდეგ 2 საათში, იმ მაღალჩინოსნებმა, რომლებიც საქმეში ფიგურირებდნენ, თანამდებობები დატოვეს. მათ შორის, ახალაიამ და სანოძემ. თუმცა, მისივე განცხადებით, ამის შემდეგ დათა ახალაია პრაქტიკულად არაფორმალურად მართავდა კუდ-ს.

— სანდრო გირგვლიანის საქმეზე ჩემ მიერ გაკეთებული კრიტიკული განცხადებების გამო, მიხეილ სააკაშვილმა დამირეკა, ასტრალში იყო გასული, მიყვიროდა. მე გავუთიშე ტელეფონი და შემდეგ ჩემი მძღოლის ტელეფონზე დამირეკა. სააკაშვილმა შენიშვნა მომცა, თუ რას ვლაპარაკობდი, ჩვენ პარაგვაი ხომ არ ვართო. ამ საუბრის შემდეგ დაახლოებით 2 საათში გაიმართა ბრიფინგი, სადაც თავისი ნებით გადადგნენ ახალაია, სანოძე და ა. შ. თუმცა, ამის შემდეგ დათა ახალაია პრაქტიკულად არაფორმალურად დაინიშნა კუდის ხელმძღვანელად, — აღნიშნა სოზარ სუბარმა.

საქართველოს ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს პროკურატურა სანდრო გირგვლიანის საქმეზე უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში სდებს ბრალს. სააკაშვილის წინააღმდეგ გამოძიება „სისხლის სამართლის კოდექსის“ 232-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც 3-დან 5 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით უკვე დაიკითხნენ ყოფილი მაღალჩინოსნები, მათ შორის, საქართველოს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, ყოფილი პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი, თავდაცვის ყოფილი მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი, ასევე შეწყალების კომისიის ყოფილი თავმჯდომარე ელენე თევდორაძე.

სულ საქმეზე ათზე მეტი მოწმეა დაკითხული. სასამართლო პროცესს მოსამართლე გიორგი არევაძე უძღვება.

# დიმიტრი შაშკინი: „2012 წელს კახეთში რუსეთის შემოჭრას გადავურჩით“

## ლაფანყურის საქმის სკანდალური აღიარება — ავსტრიაში დაკავებული მებრძოლი მუჰამედ იბრაგიმოვი ამტკიცებს, რომ რუსეთის სპეცსამსახურების აგენტი იყო





ლაფანყურის სპეცოპერაცია კიდევ ერთხელ მოექცა ყურადღების ცენტრში.

**ცნობილი გახდა ლაფანყურის საქმეზე ავსტრიაში დაკავებული მებრძოლის, მუჰამედ იბრაგიმოვის (იგივე აბუ ჰამზა, როგორც ის ავსტრიაშია ცნობილი), სკანდალური აღიარება, სადაც ის ამბობს, რომ რუსეთის სპეცსამსახურების აგენტი იყო.**

იბრაგიმოვის თანამებრძოლი იყო ორგანიზაცია „იმარატ კავკაზის“ წარმომადგენელი აჰმედ ჩატაევი, რომელიც საქართველოს ციხიდან პოლიტპატიმრის სტატუსით გაათავისუფლეს.

ლაფანყურის სპეცოპერაციის დროს საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება აცხადებდა, რომ ეს იყო რუსული მხარის პროვოკაცია რამზან კადიროვის თაოსნობით.

სწორედ ამ თემაზე ისაუბრა რამდენიმე დღის წინ საქართველოს მესამე პრეზიდენტმა. სააკაშვილის თქმით, ქართველი სამხედროებისა და სპეცსამსახურების მოქმედებები იყო მიმართული იქით, რომ აღეკვეთათ რუსული პროვოკაცია საქართველოში, რომელიც სამხედრო აგრესიით დასრულდებოდა.

ეს იყო ჩეჩნური დაჯგუფება, რომელთა წევრებიც ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში ცხოვრობდნენ, მათ შორის იყო რამდენიმე ადგილობრივი პანკისელიც.

2012 წელს ქართული სპეცსამსახურების მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად მოკლული იქნა 3 ქართველი ძალოვანი და 11-მდე ჩეჩენი მებრძოლი, 3 დაიჭრა, ხოლო 2 მიიმალა.

როგორც იბრაგიმოვმა ვენის სასამართლო პროცესზე განაცხადა, მთელი ეს ოპერაცია იყო დაგეგმილი ადგილობრივი ისლამ კადიროვის მიერ (რომელიც ჩეჩნეთის მეთაურის ნათესავია), რომელიც ელოდებოდა დაჯგუფების გადასვლას, რათა მათ შეხვედროდა რუსეთის საზღვართან.

მისი სიტყვებით, ოპერაციის ჩავარდნა იყო მისი ბრალი — მან გააგზავნა სმს-შეტყობინება, რომელიც ხელში ჩაუვარდათ ქართულ და ამერიკულ სპეცსამსახურებს, რის გამოც რუსეთის საზღვრისკენ მიმავალ დაჯგუფებას გზა გადაუკეტეს.

ქართულმა მესაზღვრეებმა დაჯგუფება ალყაში მოაქციეს, თუმცა მათ უარი თქვეს დანებებაზე.

იბრაგიმოვი და ახმედ ჩატაევი დაიჭრნენ მაშინ, როცა მათ ქართულ ხელისუფლებასთან მოლაპარაკება გადაწყვიტეს. ჩატაევი დააპატიმრეს, რომელიც მოგვიანებით, სააკაშვილის ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ, გაათავისუფლეს. იბრაგიმოვმა კი მიმალვა მოახერხა. ის სტამბულის გავლით ვენაში გადავიდა და იქ გააგრძელა ცხოვრება.

როგორც „კავკაზ.რეალიი“ წერს, იბრაგიმოვი ავსტრიაში ამ დრომდე ორჯერ იყო დაკავებული წვრილმანი სამართალდარღვევებისთვის. მესამე დაკავების დროს კი მის მობილურ ტელეფონში აღმოჩნდა ვიდეოჩანაწერი ლაფანყურის შესახებ, სადაც მუჰამედ იბრაგიმოვი დეტალურად აღწერს მის მონაწილეობას ლაფანყურის მოვლენებში.

სწორედ ამის გამო აღიძრა მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე ტერორისტულ ორგანიზაციაში მონაწილეობის ბრალდებით.

❖ ❖ ❖

„ნიუპოსტი“ საკითხის შესაფასებლად საქართველოს თავდაცვის ყოფილ მინისტრ დიმიტრი შაშკინს დაუკავშირდა.

შაშკინის თქმით, ყოფილი ხელისუფლება იმ ყველაფერზე, რაც ავსტრიის სასამართლოში ითქვა, საუბრობდა, მაგრამ ახალი მმართველი გუნდი ამ ყოველივეს უარყოფდა.

— ის, რაც მოხდა ავსტრიის სასამართლოში, ჩემთვის სიურპრიზი არ იყო. ჩვენ ამაზე ვსაუბრობდით 5 წლის განმავლობაში და ვამბობდით, რომ საქართველო გადაურჩა დიდ უბედურებას, რომელსაც, ძალიან დიდი ვარაუდით, მოჰყვებოდა კახეთში რუსეთის ინტერვენცია და ეს იყო გათვლილი იმისთვის, რომ, თავის ჭკუაში, რუსეთს ჰქონოდა საბაბი, საკუთარი ქმედება გაემართლებინა.

დიდი ხანია, რუსეთი კბილებს აკრაჭუნებს კახეთის რეგიონზე, ატარებს სამუშაოებს, რომ გზა გაიყვანოს დაღესტანში და მიუახლოვდეს კახეთის საზღვარს. ჩვენ ველოდით ამდაგვარ პროვოკაციას. ჩვენმა მთავრობამ, სპეცდანიშნულების რაზმმა, სამხედრო მფრინავებმა, რომლებიც მასში მონაწილეობდნენ, მათ შორის საკუთარი სიცოცხლის ფასად, აღკვეთეს ეს პროვოკაცია.

2012 წლის აგვისტოშივე, როცა შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაიწყო მოლაპარაკებები ამ ჯგუფთან, იქ იყო გამოკვეთილი რამდენიმე ადამიანი, რომელიც აშკარად პროვოცირებდა დანარჩენ მებრძოლებს, რადგან თუ ჯგუფის ნაწილი მოდიოდა მოლაპარაკებებზე და უსმენდა შს სამინისტროს, გარკვეული პატარა ჯგუფი, დაახლოებით 2-3 კაცი, მუდმივად ცდილობდა, რომ დასაწყისშივე ჩაეშალა მოლაპარაკებები, რომ ეს ჯგუფი ჩაბარებოდა ჩვენს სამართალდამცავებს.

ის, რაც ამ მებრძოლმა ვენაში ილაპარაკა, ჩვენთვის იყო ნათელი. ამაზე ჩვენ ვსაუბრობდით და საზოგადოებას ვუყვებოდით, თუ რას გადაურჩა ქვეყანა, ჩვენი მებრძოლების სიცოცხლის ფასად. სამწუხაროა, რომ ახალი მთავრობა ამას არ უსმენდა, იყო თავის შეთქმულებების თეორიებში. ქმნიდნენ თავად ამ თეორიებსა და ისტორიებს, თვითონაც სჯეროდათ და ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, — აცხადებს შაშკინი „ნიუპოსტთან“ საუბრისას.

**ნიუპოსტი**

# ია ანთაძე: „გოგი გვახარიას და სალომე ასათიანის გადაცემები 17 ივლისს დაიხურება“

საზოგადოებრივი მაუწყებლის ირგვლივ განვითარებული პროცესები საზოგადოებაში დიდ ინტერესს იწვევს. გუშინ დილიდან ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ საზოგადოებრივზე ახალმა ხელმძღვანელობამ რამდენიმე გადაცემა უკვე დახურა. რა ხდება რეალურად, რა გადაცემები იხურება, რომელი გადაცემები მოხვდება ახალ სამაუწყებლო ბადეში და როდიდან გავა ეთერში განახლებული გადაცემები? – „ახალი თაობის“ ამ და სხვა კითხვებს ია ანთაძე პასუხობს.

ნონა ცაბაძე




***– ია, ვრცელდება ინფორმაცია, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი გადაცემებს ხურავს. რა პროცესები მიმდინარეობს საზოგადოებრივ არხზე და რას გვეტყვით გადაცემების დახურვის თაობაზე?***

– საქმე ის არის, რომ პროცესი გრძელდება, არაფერი ახალი არ არის. 17 ივლისს, როგორც ეს იყო გამოცხადებული, იხურება ყველა გადაცემა, გარდა მოამბისა. უბრალოდ, ხმაური ატყდა იმის გამო, რომ კანონმდებლობა ითხოვს, ერთი თვით ადრე შევატყობინოთ რადიო თავისუფლებას, რომ ის გადაცემები, რომლებიც აქ მზადდებოდა რადიო თავისუფლებასთან ერთად, ეთერში აღარ გავა 17 ივლისიდან. ანუ ახლა არაფერი არ დახურულა, საუბარია ისევ და ისევ იმაზე, რომ 17 ივლისის შემდეგ, საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში იქნება მხოლოდ მოამბე.

***– რამდენი ხნით დაიხურება ეს გადაცემები და აქედან რომელი დაბრუნდება განახლებულ ეთერში?***

– ჩვენ გვაქვს ორი ბლოკი, სადაც გადაცემები მზადდება. ერთი გახლავთ მედიაწარმოების ბლოკი და მეორე გახლავთ ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკი. მედიაწარმოების ბლოკში გადაცემები დაბრუნდება მხოლოდ კონკურსის წესით. ჩვენთან კონკურსი იყო გამოცხადებული და ეს კონკურსი ჯერ არ დასრულებულა.

***– როდის სრულდება კონკურსი?***

– დაახლოებით ათ დღეში დასრულდება და გაირკვევა ის გადაცემები, რომლებიც შემოვა კონკურსის წესით ჩვენს ბადეში. რაც შეეხება ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკს, აქ მომზადდება პოლიტიკური გადაცემები და ეს გადაცემები იქნება შიდა რესურსით. ანუ საზოგადოებრივი მაუწყებელი შიდა რესურსით მოამზადებს პოლიტიკურ გადაცემებს, ხოლო ყველა დანარჩენს შემოიტანს კონკურსის წესი. ეს იქნება ორი გზა, რითაც გადაცემები მოხვდება ჩვენი ტელევიზიის ეთერში.

***– რა სახით გაივლის კონკურსს გადაცემა, რამდენად კომპეტენტურია ჟიური და ვინ უნდა გადაწყვიტოს, გადაცემა დარჩეს თუ არა?***

– კონკურსი იყო გამოცხადებული კარგა ხნის წინ. კომისიაც და სხვა დანარჩენიც შეგიძლიათ ჩვენს ვებგვერდზე ნახოთ. კონკურსი ჩატარდა სამ ეტაპად. პირველი ეტაპის შემდეგ სულ 153 ჯგუფმა შემოიტანა კონკურსში განაცხადი და გადაცემა უნდა იყოს 9. ის ორგანიზაციები, რომლებიც არიან კონკურსის მესამე ეტაპზე გადასული, წერენ პილოტებს, ეს ხანგრძლივი პროცესი იყო, კარგა ხანია დაწყებულია და 21 რიცხვში იქნება კომისიის ბოლო სხდომა, სადაც კომისია პილოტების საფუძველზე შეარჩევს იმ 9 გადაცემას, რომელიც მოხვდება პირველი არხის ეთერში.

***– ანუ თვის ბოლომდე მაყურებელს უკვე ეცოდინება, რომელი გადაცემები რჩება?***

– დიახ, ასეა. ოღონდ ეს იქნება მედიაწარმოების ბლოკში, ხოლო რაც შეეხება ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკს, აქ პოლიტიკური გადაცემების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებები ჯერ არ არის მიღებული.

***– გოგი გვახარიას და სალომე ასათიანის გადაცემები მართლა დაიხურა?***

– არა, ეს არასწორი ინფორმაციაა! ეს გადაცემები გაგრძელდება მანამ, სანამ არის მათი სახელშეკრულებო ვადა, ეს არის 17 ივლისი. უბრალოდ 17 ივლისამდე, ერთი თვით ადრე მათ შეატყობინეს, რომ ეს გადაცემები ეთერში აღარ იქნება. ეს არ არის საზოგადოებრივის შიგნით მომზადებული გადაცემები, ეს გარე ორგანიზაციაა და ჩვენ გვქონდა ვალდებულება, რომ ერთი თვით ადრე გაგვეგზავნა მათთვის შეტყობინება და გავუგზავნეთ. ამის გამო არის ხმაური, თორემ ეს გადაცემები 17 ივლისამდე დარჩება ეთერში.

***– საინფორმაციო სამსახურს და მოამბის ჯგუფს მართლა თქვენ უხელმძღვანელებთ?***

– არა, არავითარ შემთხვევაში! ეს ჭორი ვრცელდება ალბათ იმის გამო, რომ მე ამ ეტაპზე ვასრულებ ჩვენი დირექტორის დავალებას და ვმუშაობ მოამბის ჯგუფთან ერთად ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკში. მე ვარ სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი. დღეს, რადგან მოამბე არის უაღრესად მნიშვნელოვანი, ეს არის ერთადერთი გადაცემა, რომელშიც ახალი მენეჯმენტი ვმონაწილეობთ. სხვა არც ერთ გადაცემაში ჩვენ არ ვმონაწილეობთ. მოამბე არის ჩვენთვის სტრატეგიული, მოამბე არ ჩერდება, აგრძელებს თავის საქმიანობას 17 ივლისის შემდეგაც ჩვეულ რეჟიმში. ამიტომ მე ვარ ახლა აქ უბრალოდ იმიტომ, რომ რაც შეიძლება სწრაფად შევცვალოთ მოამბე და გადავიდეთ იმ ახალ კონცეფციაზე, რომელიც დაგვხვდა, როცა აქ მოვედით. მე ჩემი გამოცდილებით ვეხმარები იმ ადამიანებს, ვინც ამ ახალ კონცეფციაზე მუშაობს.

***– ანუ საინფორმაციოს ხელმძღვანელად არც მომავალში მოიაზრებით?***

– არავითარ შემთხვევაში! მე ჩემი საქმე მაქვს. აქ ყველაფერს ჰყავს თავისი უფროსი. ჩვენი ერთ-ერთი ძლიერი მხარე სწორედ ის არის, რომ ყველა შეთანხმებულად ვმუშაობთ და მართვის რგოლში გაუგებრობები საერთოდ არ ხდება.

***– როდის დაბრუნდება განახლებული სატელევიზიო ბადე ეთერში?***

– ჩვენ ტექნიკური გადაიარაღებაც გვაქვს განზრახული და ძალიან გახანგრძლივდა რეფორმის პროცესი. ჩვენ გვინდოდა ოქტომბრის შუა რიცხვებში ახალი სეზონის დაწყება, მაგრამ შესაძლებელია, ამან გადაინაცვლოს იანვრისკენ. ზუსტი ინფორმაცია არ გვაქვს, ჩვენ ჯერ კიდევ ველოდებით ტენდერების შედეგებს ტექნიკურ გადაიარაღებასთან დაკავშირებით. ახალი ბადით შევალთ ეთერში, როცა ყველა სტუდია იქნება გადაიარაღებული. შესაძლებელია, ეს ვერ მოხერხდეს იანვრამდე.

***– ანუ იანვრამდე, მოამბის გარდა, არანაირი გადაცემა ეთერში არ გავა?***

– ჩვენ გვექნება საარჩევნო გადაცემები, ეს ჩვენი ვალდებულებაც არის და ჩვენი სურვილიც. დანარჩენი ყველა გადაცემა იქნება ახალ ბადეში და ეს იქნება ის გადაცემები, რომლებიც იქნება კონკურსში გამარჯვებული. ასევე ცალკე გვქონდა გამოცხადებული ქართულ სერიალებზე კონკურსი და ეს კონკურსიც მიმდინარეობს. ერთი იქნება ქართული დეტექტივი და მეორე იქნება ქართული მელოდრამა.

# გადადგება თუ არა ირაკლი კობახიძე

დასაწყისი მე-2 გვერდზე

თუ ვთვლით, რომ რაიმე დადებითია ახალ კონსტიტუციურ ცვლილებებში, ერთ-ერთი ნამდვილად არის ის ახალი სისტემა, რომელსაც ცვლილებები გვთავაზობს. ბუნებრივია, ძალიან სამწუხარო იქნება თუ ეს დაპირება არ შესრულდება და ეს მთავარი შესაძლო მონაპოვარი აღარ იქნება იმ ცვლილებების სიაში, რომელსაც პარლამენტი განიხილავს და დაამტკიცებს, – განაცხადა პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა.

პატრიოტთა ალიანსის ლიდერი, პარლამენტის ვიცე-სპიკერი ირმა ინაშვილი მიიჩნევს, რომ ხელისუფლებამ დაპირება აუცილებლად უნდა შეასრულოს. მისი თქმით, „ოცნება“ მაჟორიტარული სისტემის გაუქმებაზე ოპოზიციასთან ვაჭრობს.

ჩვენი მაჟორიტარები პარლამენტში დიდი აქტიურობით არ გამოირჩევიან. ბევრი მათგანი პარლამენტშიც კი არ დადის. ინაშვილი დაინტერესდა, რატომ გააქტიურდნენ ისინი საარჩევნო სისტემის ცვლილებების გარშემო და რატომ დუმან სხვა პრობლემურ საკითხებზე.

– არ მინდა, შეურაცხყოფა მივაყენო არც ერთ მაჟორიტარს, მაგრამ მაინცდამაინც ამ საარჩევნო სისტემის თემაზე რომ დაიწყეს საუბარი, სხვა პრობლემური საკითხები არ არის მათ რეგიონში?! ეს არის პოლიტიკური თამაში. ხელისუფლება თავის თავს ეთამაშება. გვთავაზობს პროპორციულ სისტემაზე გადასვლას და თან ამბობს, რომ მაჟორიტარები ამას აპროტესტებენ.



მაჟორიტარს რეალურად ბერკეტი არ აქვს. ის ეწევა კანონშემოქმედებით საქმიანობას. მაჟორიტარი თუ არ არის მილიონერი, ვერაფერს ვერ გააკეთებს მისი რეგიონისთვის. მაჟორიტარულ სისტემას ყველა ხელისუფლება იყენებდა იმისთვის, რომ ჰქონოდა საკონსტიტუციო უმრავლესობა.

„ქართული ოცნების“ დაპირება პროპორციულ სისტემაზე გადასვლა იყო. ახლა მიდის პოლიტიკური ვაჭრობა. თუ ოპოზიციასა და უმრავლესობას შორის შეთანხმება არ შედგა, მაშინ გამოვლენ და გვეტყვიან, აი, ჩვენი მაჟორიტარები აპროტესტებენ და ვერ ვერევით ამ წნეხს. ეს ძალიან გაცვეთილი და სახიფათო თამაშია, – განაცხადა პარლამენტში გამოსვლისას ირმა ინაშვილმა.

❖ ❖ ❖

„ქართულმა ოცნებამ“ მაჟორიტარული სისტემის გაუქმების პირობა ჯერ კიდევ ხელისუფლებაში მოსვლამდე დადო.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ ის აცხადებდა, რომ თუ ხელისუფლებაში მოვიდოდა, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები პროპორციული სისტემით ჩატარდებოდა.

2012 წელს ხელისუფლებაში მოვიდნენ, მაგრამ, სხვა დაპირებების მსგავსად, არც ეს დაპირება შეასრულეს.

კოლეგებს ეს დაპირება პარლამენტის მაშინდელმა თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა შეახსენა. ამ საკითხზე საუბარიც დაიწყო. ერთ-ერთ დახურულ სხდომაზე მას მაჟორიტარები იმპიჩმენტითაც კი დაემუქრნენ, თუ ის პროპორციულ სისტემაზე გადასვლას მოითხოვდა.

აღსანიშნავია, რომ მაჟორიტარების ამბოხს მაშინაც კახა ოქრიაშვილი ედგა სათავეში. როგორც ამბობენ, მაშინ მან თანამოაზრეებთან ერთად ივანიშვილის დარწმუნებაც შეძლო, ივანიშვილის სიტყვა კი მეოცნებეებისთვის კანონზე მეტია.

„ქართული ოცნება“ მაშინ ერს დაჰპირდა, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები მაჟორიტარების ბოლო გაფართხალება იქნებოდა. მათი თქმით, 2020 წლის არჩევნები პროპორციული სისტემით ჩატარდებოდა.

2017 წლის ივნისში კი აცხადებენ, რომ პროპორციულ სისტემაზე გადასვლა 2024 წლისთვის მოხდება. და ეს მაშინ, როცა გამალებით ცდილობენ პრეზიდენტის არჩევის წესის შეცვლას. თავიდან თქვეს, რომ ეს წესი 2023 წლისთვის შეიცვლებოდა, ახლა კი ამბობენ, რომ უკვე 2018 წელს უნდა გაუქმდეს პრეზიდენტის არჩევის წესი.

„ოცნებაში“ არ უარყოფენ, რომ პრეზიდენტის არჩევის წესის შეცვლა გიორგი მარგველაშვილის სიჯიუტეს უკავშირდება. მარგველაშვილი ბუნჩულა პრეზიდენტი რომ ყოფილიყო, „ოცნება“ აღარ მოითხოვდა წესების შეცვლას.

პროპორციული სისტემის საწინააღმდეგოდ მაჟორიტარებს უამრავი არგუმენტი აქვთ. ერთ-ერთი ისაა, რომ თურმე მაჟორიტარის არჩევის დროს ამომრჩეველს სასურველი კანდიდატის არჩევა შეუძლია.

ეს რომ ასე არ არის, ეს 2016 წლის არჩევნებმაც დაადასტურა. არჩევნებში არც ერთ დამოუკიდებელ მაჟორიტარს არ გაუმარჯვია. ხაშურის გარდა, ყველა ოლქი „ოცნების“ კანდიდატებმა მოიგეს. მათზე აქტიურად მუშაობდნენ პარტია და ადმინისტრაციული რესურსი. რამდენიმე მაჟორიტარმა ძალიან დიდი ძალისხმევა გასწია, რომ „ოცნების“ კანდიდატი გამხდარიყო.

ამ დიდი მხარდაჭერის მიუხედავად, მათ დიდი ნაწილს გამარჯვებისთვის მეორე ტური დასჭირდა. მმართველი გუნდის მხარდაჭერა რომ არა, ბევრი მათგანი პარლამენტს მიღმა დარჩებოდა.

# ლონდონში ხანძრის შედეგად დაშავებულებს შორის ქართველები არ არიან



დიდ ბრიტანეთში საქართველოს საელჩოს ინფორმაციით, ლონდონში ხანძრის შედეგად დაშავებულებს შორის ქართველები არ არიან.

როგორც კონსული მარიამ წერეთელი ამბობს, ქართველების შესახებ საელჩოში ინფორმაცია არ შესულა.

– ლონდონში ხანძარს ისევ ებრძვიან. პოლიციას ოფიციალური განცხადება ჯერ არ გაუკეთებია. ქართველების შესახებ ინფორმაცია არ შემოგვსვლია. დაშავებულებს და დაკარგულებს ვინც ეძებს, მათთვის ცხელი ხაზი მოქმედებს, – განაცხადა საზოგადოებრივ მაუწყებელთან საუბარში მარიამ წერეთელმა.

**მედიანიუსი**



# სუს-ის ანტიკორუფციულმა სააგენტომ ქრთამის მოთხოვნის ფაქტზე ერთი პირი დააკავა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ქრთამის მოთხოვნის ფაქტზე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის, ასურეთის სატყეო უბნის ტყის მცველი ზ.ა. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებული კანონმდებლობით დადგენილი აკრძალვის მიუხედავად, საქართველოს მოქალაქეს დაჰპირდა ქვემო ქართლში, ასურეთის სატყეო უბნის ტერიტორიაზე, 1.000 კვ.მ ტყის ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოჭრაში დახმარებას, რის სანაცვლოდაც ქრთამის სახით მოსთხოვა 6.000 ლარის გადახდა.

გამოძიება ქრთამის მოთხოვნის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით).

გამოძიებას აწარმოებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო.

# ადა მარშანია: „რუსეთთან ლაპარაკისთვის დღესვე მზად ვარ“

ნათია ხურცილავა

პატრიოტთა ალიანსის წევრი, დეპუტატი ადა მარშანია „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აფხაზეთის საკითხზე და რუსეთთან პირდაპირი დიალოგის აუცილებლობაზე საუბრობს.

*– ქალბატონო ადა, რას იტყვით აფხაზეთის მიმართ ხელისუფლების პოლიტიკასთან დაკავშირებით?*

– დღიდან პარლამენტში შესვლისა, ჩვენ ამ საკითხს ვაყენებთ. უპირველესი საკითხი არის ჩვენი ქვეყნის გამთლიანება.

*– რუსეთთან პირდაპირ დიალოგზე მოუწოდებს ხელისუფლებას ბურჯანაძე. თქვენც ფიქრობთ, რომ რუსეთთან პირდაპირ დიალოგს ალტერნატივა არ აქვს თუ ჯერ კიდევ საერთაშორისო ფორმატებს არ ამოუწურავს თავი?*

– ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ერთდროულად, როგორც საერთაშორისო თანამეგობრობასთან უნდა ვიმუშაოთ, ისე რუსეთთან უნდა ვიმუშაოთ. პირდაპირი დიალოგის მომზადება მაინც უნდა დავიწყოთ. სხვა ალტერნატივა ამას არ აქვს და ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. როგორი მძიმეც არ უნდა იყოს საუბარი, საუბარი უნდა დავიწყოთ. ერთადერთი არგუმენტი არის, რომელიც უზენაესია – ეს არის ჩვენი მიწა-წყალი. ჩემი მთავარი ინტერესი არის, რომ ამ მიწა-წყალს მივხედო და ვუპატრონო. ეს პოლიტიკა უნდა იქნას გატარებული.

*– რუსეთის ფაქტორი?*

– არ მაინტერესებს. ჩვენ უნდა ვაჩვენოთ რუსეთის ფედერაციას, აფხაზ საზოგადოებას, მსოფლიო თანამეგობრობას, რომ არ დავთმობთ არაფრის ფასად, არ მოვეშვებით, ეს განწყობა თუ გვექნება მთელ ერს, ყველაფერი გამოგვივა. წინააღმდეგ შემთხვევაში არაფერი არ გამოვა. სხვადასხვა ფორმით ყოველდღე უნდა ვაჩვენებდეთ ყველას, რომ ვერ ვეგუებით არსებულ სტატუსკვოს.

კონკრეტულად ჟენევის ფორმატს მივესალმები, არ ვამბობ, რომ არ უნდა იყოს, პირიქით, უნდა იყოს და რაც შეიძლება მეტი უნდა იყოს ასეთი საერთაშორისო ფორმატი, მაგრამ შედეგი არ დადგება, სანამ ფართომასშტაბიან მოლაპარაკებებს არ დავიწყებთ რუსეთთან. ჟენევის ფორმატი არის გამომდინარე ფორმატი, იქ არ წყდება არაფერი, კრემლში წყდება და, რაც მთავარია, ჩვენს გულებში წყდება. შეიძლება ეს ძალიან ემოციურად ჟღერს, მაგრამ თუ თავს დავანებებთ ჩვენივე მიწას და ჩვენვე ხელს ჩავიქნევთ, არც არაფერი არ გამოვა. რუსეთთან ძალიან მძიმე იქნება საუბარი და მე არ მაქვს ილუზია, რომ თუნდაც ამ მძიმე საუბრის შემდეგ უცებ გაგვიხსნის კარს და დაგვპატიჟებს, მაგრამ ჩვენ უნდა ვცადოთ და დავიწყოთ.

*– ხელისუფლებიდან ვის გაუშვებდით კრემლში პუტინთან მოსალაპარაკებლად?*

– არავის არ გავუშვებდი, რადგან არავის იმედი არ მაქვს. არ არიან ის ადამიანები, რომელთაც უპირობოდ ვენდობი. რუსეთმა უნდა დაინახოს, სანამ ხმას ამოიღებ, რომ დამთმობი არ ხარ. ძალიან კარგად ვიცნობ რუსებს და ეს ვიცი. თუმცა, პუტინამდე ჯერ გზები უნდა გავჭრათ, პუტინთან მოლაპარაკებები შემდეგი ეტაპია.

*– თქვენ წახვიდოდით?*

– მე მზად ვარ, ყოველ წუთს წავიდე.

*– აპირებთ?*

– რადგან საუბარია ასეთი დონის საკითხზე, ჩვენი ქვეყნის უპირველეს ინტერესზე, მე მინდა, რომ მორალური მხარდაჭერა მაინც მქონდეს. ასევე ხელისუფლება უნდა გიმაგრებდეს ზურგს, ისე არ არის, რომ ჩახვიდე და დამთავრდა.

*– რა შედეგს წამოიღებთ, ეს არის მნიშვნელოვანი.*

– მე მეუბნებიან, კარასინს ხომ ველაპარაკებიო, მაგრამ კარასინთან საუბარი და კრემლში საუბარი სხვადასხვა რამეა. საზოგადოების მხარდაჭერა არის, რომ ჩვენ პირდაპირი დიალოგი დავიწყოთ რუსეთთან.



*–ვიზების ლიბერალიზაცია, სხვა ფაქტორები არ იმოქმედებს აფხაზებზე?*

– არა, ჯერჯერობით არ იმუშავებს. საქართველო ევროპისკენ რომ მიდის და ნელ-ნელა რომ ინტეგრირდება, ეს დიდი პლუსია, მაგრამ ეს არ არის ის მომენტი, რის გამოც აფხაზები დაბრუნდებიან. გულწრფელი და მცოდნე საუბარი უნდა დავიწყოთ აფხაზებთან, მე მეგულება 20-მდე ადამიანი, ვისაც შეუძლია ეს და ვისაც აფხაზებში ნამდვილად აქვთ ავტორიტეტი.

# გურამ ვახტანგაშვილი: „ცხინვალში დაბრუნებულ ქართველებზე ზეწოლა არ უნდა იყოს“

გულიკო ბალაძე

პარლამენტის ყოფილი წევრი გურამ ვახტანგაშვილი „ახალ თაობასთან“ ცხინვალის რეგიონის საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლის, ანატოლი ბიბილოვის განცხადებას ეხმაურება. მისი განცხადებით, უმჯობესი იქნება, კეთილი ნება გამოიჩინონ, ცხინვალის რეგიონში დააბრუნონ იქიდან გამოდევნილი ქართველები. მოქალაქეობასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტა გადაიდოს ცხინვალსა და თბილისს შორის საკითხის პოლიტიკურ გადაწყვეტამდე.



– შეიძლება ცხინვალის რეგიონში დაბრუნებულმა ქართველებმა ე.წ. ოსეთის მოქალაქეობა არ მიიღონ, მაგრამ სანამ არსებული წინააღმდეგობა ცხინვალსა და თბილისს შორის პოლიტიკური გადაწყვეტილებით არ დაიძლევა, იქ დაბრუნებულ მოსახლეობაზე არავითარი ზეწოლა არ უნდა მოხდეს, – აცხადებს გურამ ვახტანგაშვილი.

*– ბიბილოვი აცხადებს, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებების რუსულ მოდელზე გადაყვანა იგეგმება. ამდენად, შეიძლება ახალგორის ქართულ სკოლებში ქართულ ენაზე სწავლება აიკრძალოს. ეს უბრალო განცხადებაა თუ რეალურად დაგეგმილია სწავლების რუსულ მოდელზე გადაყვანა?*

– რაც აფხაზეთში ხდება, იგივე ხდება ცხინვალის რეგიონშიც. ალბათ, რაც თქვეს, შეასრულებენ. ახალგორში საქმის წარმოება სრულიად ქართული იყო, სხვა რაიონებში ქართულადაც იყო საქმის წარმოება, რუსულადაც. ახალგორში ოსური მოსახლეობაც – 90%-ზე მეტი – ქართულად საუბრობდა და ქართულ სკოლებს ამთავრებდა. თბილისთან უფრო ახლოს იყოს, ვიდრე ცხინვალთან. ახლა ვინ ცხოვრობს იქ, არ ვიცი, მაგრამ ძველი მოსახლეობა ქართულად საუბრობდა.

*– ანუ შეიძლება რუსულ გარემოსთან ენობრივი ბარიერი მართლაც ჰქონდეთ?*

– რატომ უნდა ჰქონდეთ ენობრივი ბარიერი, ყველამ კარგად იცის რუსული. თუმცა, ვერ გეტყვით, ახალ თაობას აქვს თუ არა ენობრივი ბარიერი, მაგრამ ძველებმა ქართულიც იცოდნენ და რუსულიც. ენობრივი ბარიერის მოხსნაზე საუბარი ნიშნავს, რომ რუსულ სწავლებაზე გადაყვანა უნდათ.

ძალიან ცუდი მდგომარეობაა პატარა და დიდი ლიახვის ხეობაში, სახლები გადამწვარია, ნანგრევებილა ჩანს. ახალგორში კი ყველა სახლი მთელია, პატრონებიც ჰყავთ, ზოგი თბილისში ცხოვრობს და მიდიან-მოდიან. თუ დაბრუნება იქნება, ყველა საკუთარ სახლ-კარს დაუბრუნდება და არავითარი პრობლემა არ იქნება.

*– რამდენად შეიძლება იქ ქართველობა დაბრუნდეს?*

– დიდი და პატარა ლიახვის ხეობაში დაბრუნება გამორიცხულია, რადგან საცხოვრებელი პირობები არ არის, სახლები გადამწვარია, მაგრამ ახალგორში არავითარი პრობლემა არ არის და შეიძლება ყველა ქართველის დაბრუნება.

*– ბიბილოვმა დავალება მისცა, ყოფილ მცხოვრებლებს გაუგზავნეთ შეტყობინებები, არ აქვს მნიშვნელობა, თბილისში ცხოვრობენ, გორში თუ ვლადიკავკაზში. თუ პასუხი ვერ მიიღეთ, სასამართლო წესით იმოქმედეთო. ხომ არ უნდათ ქართველების ქონების (სახლების, მიწების) ე.წ. ნაციონალიზაცია?*

– მნიშვნელობა აქვს იმას, რა პირობებს წაუყენებენ. თუ ისეთ პირობებს წაუყენებენ, როგორც აფხაზეთში – მოქალაქეობის მიღებას მოსთხოვენ, შეიძლება იქ დაბრუნებულმა ქართველებმა ე.წ. ოსეთის მოქალაქეობა არ მიიღონ. სანამ ცხინვალსა და თბილისს შორის პოლიტიკური გადაწყვეტილება არ მიიღება, იქ დაბრუნებულ მოსახლეობაზე არავითარი ზეწოლა არ უნდა იყოს.

*– თითქოს კეთილ ნებას იჩენენ, ჩვენ ზეწოლას არ ვახდენთო.*

– თუ უნდათ კეთილი ნება გამოიჩინონ, იქ დაბრუნებულ ქართველებზე არავითარი ზეწოლა არ უნდა იყოს, მოქალაქეობის მიღებაზე არავითარი პრეტენზია არ უნდა ჰქონდეთ. ვთქვათ, მე გამოვედი ახალგორიდან და საქართველოს მოქალაქე ვარ. დაბრუნების შემთხვევაში ჩემი მოქალაქეობის დათმობა არ მინდა. საქართველოს მოქალაქეობა ყველაფერს მირჩევნია. ყველაზე ძვირფასია, რომელი ქვეყნის შვილიც ხარ, იმ ქვეყნის მოქალაქე იყო. არ შეიძლება მოქალაქეობა რაიმე თანამდებობაზე გაიცვალოს.

*– იმ პირობებში თითო ოჯახიდან ერთი პიროვნება მაინც რომ დაბრუნდეს, არ შეიძლება? უპატრონებს თავის სახლ-კარს და კარმიდამოს.*

– რაც დრო გადის, თანდათან უფრო ვშორდებით ცხინვალსაც, აფხაზეთსაც და ახალგორსაც. ჩვენი თაობა და ჩვენი მომდევნო თაობა თუ არ დაბრუნდა, ბავშვების თაობას გაუჭირდება დაბრუნება.

*– სწორედ ამიტომ გეუბნებით, თუ საშუალება იქნება, ხომ არ სჯობს, უპატრონოდ დარჩენილ სახლ-კარსა და მიწა-წყალს დაუბრუნდნენ-თქო. იქ დაბრუნება თანდათან უფრო გაძნელდება*

– დიახ, ძალიან გაძნელდება. 2008 წლამდე ძალიან ახლოს ვიყავით. ფრონეს ხეობა, დიდი და პატარა ლიახვის ხეობები და ახალგორი ჩვენს იურისდიქციაში იყო. მაშინ უფრო ადვილი იყო იქაურ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებები, ვიდრე ახლა.

*– ოჯახი რომ აქეთ ეყოლება და კონტაქტი ექნება, თავის მეობასაც შეინარჩუნებენ.*

– არ არსებობს ცხინვალში ოსი, თბილისში ან კახეთში დეიდა, ბიძა, ბიძაშვილი ან დეიდაშვილი არ ჰყავდეს და კონტაქტიც აქვთ. მაგრამ ცხინვალის რეგიონში საოკუპაციო რეჟიმის პირობებში ჩასული ქართველები დიდი ზეწოლის ქვეშ მოექცევიან. როგორც აფხაზეთში, გალში მცხოვრები ქართველები იძულებული არიან, დაემორჩილონ აფხაზურ-რუსულ საოკუპაციო რეჟიმს, ისე იქნება ცხინვალის რეგიონშიც. თუ კეთილ ნებას გამოიჩენენ, დააბრუნონ ქართველები და სანამ თბილისი და ცხინვალი პოლიტიკურად გადაწყვეტს პრობლემას, მანამ ქართველებმა იცხოვრონ ცხინვალის რეგიონში, როგორც ცხოვრობდნენ.

*– მახსოვს, სააკაშვილის დროს დაიწყო პროექტი „აფხაზეთი ჩემი სახლია“ და ხდებოდა ქართველი მოსახლეობის იქ დარჩენილი ქონების ინტერნეტის დახმარებით აღრიცხვა. შემდეგ პროექტი შეჩერდა. ასეთი პროექტი ცხინვალის რეგიონისთვისაც ხომ არ იყო?*

– მსგავსი პროექტი ცხინვალის რეგიონში არ ყოფილა. აფხაზეთი მაინც დიდია. აქ ყველამ იცის, თავისი სახლი სად არის და ვინ სად ცხოვრობს. დიდი და პატარა ლიახვის ხეობელებმა იციან, რომ მათი სახლები გადამწვარია და იქ არავინ ცხოვრობს.

*– ეს ქონება რომ აღვრიცხოთ, დავასურათოთ ინტერნეტის საშუალებით მაინც და საერთაშორისო სასამართლოს მეშვეობით რომ მივაღწიოთ დევნილი ქართველი მოქალაქეების იქ დარჩენილი ქონების აღიარება-დამტკიცებას? ვფიქრობ, ეს მანამდე უნდა გაკეთდეს, სანამ სეპარატისტები იმას გააკეთებენ, რაც ბიბილოვმა განაცხადა.*

– კარგი იქნება, მაგრამ ყოველ წელიწადს გაერო ღებულობს რეზოლუციას დევნილების დაბრუნების თაობაზე, მაგრამ არ სრულდება. რასაც თქვენ ამბობთ, იმას უნდა შესრულება. ამისთვის რუსებს უნდა მოველაპარაკოთ და იქნებ საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით დევნილები დაბრუნდნენ რომელიმე ქვეყნის სამშვიდობოების გარანტიით. ამას რუსებთან დალაპარაკება უნდა.

*– პირადად თქვენ დაბრუნდებით?*

– 83 წლის მამა მყავს. ჩვენ ლიახვის ხეობიდან 11 აგვისტოს წამოვედით. იქ მე ჩემი შვილებით ვიყავი. ჩემი ერთი ბიჭი სპეცნაზში იყო და მეორე ხეობაში გადავიდა. მამაჩემი ხეობაში დარჩა, არ მოდიოდა. ხეს შემოეხვია, არ წამოვალო და ძლივს წამოვიყვანე საწყალი კაცი. გეფიცები ადამიანობას, თუ იქნება დაბრუნება, პირველი მე წავალ და დედაჩემსაც იქ გადავასვენებ მამა-პაპურ სასაფლაოზე. ამდენი წელი დევნილი ვარ და სიზმარი არ მინახავს, თბილისში ან გორში რომ ვიყო, სიზმარში სულ ხეობას ვხედავ, როგორ დავრბოდი და როგორ ვცხოვრობდი იქ. ჩემი თაობის 90% ასეა. პატარებზე ვერაფერს გეტყვი.

*– სად არის დედათქვენი დასვენებული?*

– გორთან ახლოს სოფელ ბერბუკში. 2008 წელს ბერბუკის სასაფლაოზე დედაჩემი რომ დავასვენე, მეოთხე იყო. ახლა იმდენი საფლავია, ადგილი აღარ არის. გუშინწინ ერედველი ბიჭი ავარიაში მოჰყვა, იქ გავასვენეთ და ვნახე, ადგილი აღარ არის. ასე თუ გაგრძელდა, შეიძლება დამბრუნებელიც აღარავინ იყოს.

*– ყოველ შემთხვევაში, ვფიქრობ, ცხინვალის რეგიონიდან დევნილები უნდა შეიკრიბოთ და ბიბილოვის განცხადებას პასუხი უნდა გასცეთ – პრეტენზია უნდა განაცხადოთ იმ ქონებაზე, რაც დარჩა ოკუპირებულ ტერიტორიაზე, სახლი დამწვარია თუ არა.*

– მე არავითარ სამთავრობო წრეებში არ ვარ, უმუშევარი ვარ, სახლში ვიმყოფები. საპრეზიდენტო ინსტიტუტია, გამგეობები არსებობს, ახალგაზრდა ბიჭები არიან და საპასუხო განცხადებას გააკეთებენ.

# რუსთავში 7 წლის გოგონას ავტომანქანა დაეჯახა

რუსთავის მე-7 მიკრორაიონში მცირეწლოვანს მანქანა დაეჯახა. არსებული ინფორმაციით, 7 წლის გოგონამ ქუჩაზე გადაირბინა, რა დროსაც მას „ოპელის“ მარკის ავტომობილი დაეჯახა.




დაშავებული სასწრაფო დახმარების ბრიგადამ რუსთავის ცენტრალურ საავადმყოფოში გადაიყვანა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ რუსთავის ცენტრალურ საავადმყოფოში განუცხადეს, პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა.

შსს-ს ინფორმაციით, სისხლის სამართლის საქმე 276-ე მუხლის პირველი ნაწილით აღიძრა. მძღოლის ვინაობა დადგენილია და მიმდინარეობს გამოძიება.

# ფადი ასლი: „როგორ შეგვიძლია ინვესტორებს შევთავაზოთ საქართველოში ჩამოსვლა, როცა უცხოურ ბიზნესს თავს ესხმიან“

„საერთაშორისო სავაჭრო პალატის თავმჯდომარემ ფადი ასლიმ საკონსულტაციო საბჭოს წევრების მიმართ განცხადება გააკეთა, რომელსაც „კომერსანტი“ უცვლელად გთავაზობთ:

— გვსურს თქვენი ყურადღება გავამახვილოთ შემაშფოთებლად გაუარესებულ საინვესტიციო კლიმატზე. ერთ წელზე მეტია, რაც უცხოური ბიზნესის უდიდესი ნაწილი დაზარალდა ან ჯერ კიდევ წნეხის ქვეშ არის, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს კომპანიების ოპერირებას ბაზარზე და, შესაბამისად, სერიოზულ ზიანს აყენებს მათ საქმიანობასა და საკუთრებას.

ზემოაღნიშნული პრობლემების უმეტესი ნაწილი დაკავშირებულია სასამართლოებთან, სამართალდამცავ ინსტიტუტებთან და ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოებთან.

საილუსტრაციოდ გაგაცნობთ დაზარალებული კომპანიების მხოლოდ მცირე ჩამონათვალს, მათ შორის რამდენიმე საერთაშორისო სავაჭრო პალატის წევრია: ტერა ბანკი, ფილიპ მორისი, ბრითიშ ამერიქან თობაქო, ყაზტრანსგაზი, გარდაბანი ჰოლდინგი, სილქ როუდ ჰოლდინგი, სითი პარკი, ბათუმის პორტი, ოპტიკალ სისტემს კორპორაცია, ჯი ფარადაისი, სამი ჰაბიბის საინვესტიციო ჯგუფი, შპს ჯორჯიან მანაგენიზი, კავკასიის ფონდი, ანკა ფუდ შვეიცარია, ბაზელ ჯგუფი...



ზემოხსენებული კომპანიები არიან სხვადასხვა უცხოელი ინვესტორების საკუთრებაში და, შესაბამისად, მათ მიმართ ჩადენილი უკანონო ქმედებები ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს საქართველოს საინვესტიციო გარემოსა და იმიჯზე საერთაშორისო მასშტაბით.

მოხარულნი ვართ, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ გამოასწორა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული არასამართლიანი გადაწყვეტილება ფილიპ მორისისა და ბრითიშ ამერიქან თობაქოს საქმეზე; თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საქმის წარმოების პროცესი მართული იყო წითელი დირექტორებისა და „უკონტროლო სუბიექტების“ მიერ, რამაც უარყოფითი გავლენა იქონია სახელმწიფოს რეპუტაციაზე საზღვარგარეთ.

ჩვენ ვერ ვიხსენებთ პერიოდს, განვლილი ოცი წლის განმავლობაში, როდესაც მსგავსი გამძაფრებული თავდასხმები ხორციელდებოდა უცხოურ ბიზნესებზე, სწორედ ეს განაპირობებს ჩვენს წუხილს.

ჩვენს შეშფოთებას უფრო აღრმავებს ის ფაქტი, რომ მიმდინარე მოვლენების დაკვირვების შედეგად რჩება შთაბეჭდილება, რომ მთავრობას არ შეუძლია ამ „უკონტროლო სუბიექტების“ მიერ ბიზნესის მიმართ განხორციელებული თავდასხმების, რეკეტირების, ექსპროპრიაციისა და პარალიზების შემთხვევების შეჩერება.

გასული თვეების განმავლობაში, საერთაშორისო სავაჭრო პალატამ არაერთი შეხვედრა გამართა მთავრობის წარმომადგენლებთან; რომელთაგანაც მუდმივად ისმოდა დაპირება არსებული პრობლემების „გადაჭრის“ თაობაზე; თუმცა თვეების გასვლის შემდეგ, ვაცნობიერებთ, რომ პრობლემები კვლავ გადაუჭრელი რჩება.

ჩვენი დაკვირვებით, საქართველოში არსებობს ორი მმართველი ძალა: ერთის მხრივ, პოზიტიური და კონსტრუქციული ძალა წარმოდგენილი პრემიერ-მინისტრისა, რამდენიმე მინისტრისა და მინისტრთა მოადგილეების სახით, რომლებიც ცდილობენ გააუმჯობესონ კანონმდებლობა და ხელი შეუწყონ საქართველოს პოპულარიზაციას; მეორე მხრივ კი, არსებობს ნეგატიური და დესტრუქციული ძალა როგორც სახელმწიფო სტრუქტურებში, ასევე მათ გარეთ — ე.წ. „უკონტროლო სუბიექტები“, რომლებიც არ ექვემდებარებიან საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელს და არც მთავრობას აქვს მათზე კონტროლის შესაძლებლობა.

სწორედ ეს დესტრუქციული ძალა იწვევს სასამართლოს კორუმპირებას, აშანტაჟებს და ზეწოლას ახდენს ბიზნესზე, უკანონოდ ართმევს ინვესტორებს მათ საკუთრებაში არსებულ ქონებას და, სამწუხაროდ, საქართველოს მთავრობას არ შესწევს უნარი, აღკვეთოს აღნიშნული მართლსაწინააღმდეგო და უკანონო ქმედებები.

ყოველივე ზემოხსენებული მიმდინარეობს მაშინ, როცა საერთაშორისო ბიზნეს ორგანიზაციები და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები უცხოელ ინვესტორებს სთავაზობენ საქართველოში ინვესტირებას; როგორ შეგვიძლია ინვესტორებს შევთავაზოთ საქართველოში ჩამოსვლა, როცა ვფლობთ ინფორმაციას უცხოურ ბიზნესებზე არსებული თავდასხმების შესახებ?!

განა ჩვენი მორალური ვალდებულება არ არის გავაფრთხილოთ უცხოელი ინვესტორები, რომლებიც აპირებენ საქართველოში ინვესტირებას, იმ საფრთხეების შესახებ, რომლებიც უკავშირდება მათ სამომავლო საინვესტიციო გეგმებს საქართველოში?!

„უკონტროლო სუბიექტების“ შეჩერებისთვის დაუყონებლივ უნდა იქნეს მიღებული ზომები; სხვა შემთხვევაში საინვესტიციო გარემო მნიშვნელოვნად გაუარესდება და, ამ შემთხვევაში, საერთაშორისო სავაჭრო პალატა იძულებული გახდება, მსოფლიო მასშტაბით უცხოელი ინვესტორები გააფრთხილოს არსებული საინვესტიციო რისკებისა და საფრთხეების თაობაზე.

საკონსულტაციო საბჭო ერთადერთი და გამორჩეული ორგანოა საქართველოში არსებულ ბიზნეს ორგანიზაციებს შორის, რომლის შემადგენლობაშიც შედის ათი ელჩი, სამი საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტისა და ორი საერთაშორისო ორგანიზაციის თავმჯდომარეები. ბიზნესისთვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის შემდეგ დიპლომატები რეგულარულად ურთიერთობენ მთავრობასთან, რათა მაქსიმალური შედეგი იქნეს მიღწეული ბიზნესისა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისათვის, — ნათქვამია ფადი ასლის განცხადებაში.

# საქართველოს ეროვნული ბანკი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს უცვლელად 7.0 პროცენტზე ტოვებს

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2017 წლის 14 ივნისს მიიღო გადაწყვეტილება რეფინანსირების განაკვეთის უცვლელად დატოვების შესახებ.

როგორც საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული, გადაწყვეტილება ეყრდნობა მაკროეკონომიკურ პროგნოზს, რომლის მიხედვითაც, მიწოდების მხრიდან მოქმედი ფაქტორების გავლენით, ინფლაცია 2017 წელს მიზნობრივ მაჩვენებელზე მაღლა შენარჩუნდება. ბოლო თვეების განმავლობაში, ერთჯერადი ფაქტორების გავლენით, ინფლაცია გაიზარდა და მაისში 6.6 პროცენტს მიაღწია. აქედან, თამბაქოს პროდუქტებსა და საწვავზე ფასების ზრდის წვლილი 2.6 პროცენტული პუნქტი იყო. ინფლაციის მაჩვენებლის ზრდა შესაბამისობაშია არსებულ პროგნოზთან, რომლის მიხედვითაც ინფლაციის ზრდა დროებითია, წლის მეორე ნახევარში შემცირების ტენდენცია ექნება და 2018 წელს მიზნობრივ მაჩვენებელს დაუახლოვდება. ამასთანავე, ბოლო პერიოდში ინფლაციის მოლოდინებს შემცირების ტენდენცია აქვს. აქედან გამომდინარე, სხვა თანაბარ პირობებში, პოლიტიკის დამატებით გამკაცრების საჭიროება არ იკვეთება. დამატებითი შოკების არარსებობის შემთხვევაში, ინფლაციაზე მოქმედი ერთჯერადი ფაქტორების ამოწურვასთან ერთად, საშუალოვადიან პერიოდში მოსალოდნელია მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ნეიტრალურ დონემდე შემცირება.




მიმდინარე წელს სამომხმარებლო ფასებზე მოთხოვნის მხრიდან მოქმედი ფაქტორები კვლავ სუსტია და მშპ-ს ზრდა პოტენციურ დონეზე ნაკლებია. ბოლო პერიოდში ერთობლივი მოთხოვნის ინდიკატორები განსხვავებულ სიგნალებს იძლევა. ერთი მხრივ, აპრილში, წინასწარი შეფასებით, ეკონომიკური ზრდა წინა თვეებთან შედარებით, შენელდა, ხოლო, მეორე მხრივ, ექსპორტიდან, მათ შორის ტურიზმიდან, მიღებული შემოსავლები მაღალი ტემპით განაგრძობს ზრდას. ასევე, იზრდება საქართველოში გადმორიცხული ფულადი გზავნილების მოცულობა. საგარეო მოთხოვნის ზრდის ტენდენციის შენარჩუნების პირობებში, მოსალოდნელია მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ეტაპობრივი შემცირება.

საქართველოს ეროვნული ბანკი მომავალშიც დააკვირდება მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებსა და საფინანსო ბაზრებს და გამოიყენებს მის ხელთ არსებულ ყველა საშუალებას ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად.

# „უვიზო მიმოსვლის ფარგლებში, საქართველოდან შენგენის ზონაში საზღვარი 20 ათასზე მეტმა ადამიანმა გადაკვეთა“




— უვიზო მიმოსვლის ფარგლებში, საქართველოდან შენგენის ზონაში საზღვარი 20 ათასზე მეტმა ადამიანმა გადაკვეთა, — ამის შესახებ ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა ვიქტორ დოლიძემ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა.

მისივე განმარტებით, უკან მხოლოდ ერთეულები დააბრუნეს.

— ჯერჯერობით მხოლოდ პოზიტივი შემიძლია ვთქვა, გამომდინარე იქიდან, რომ ივნისის ბოლომდე სტატისტიკა სამთვიანი მიმოსვლის თაობაზე არ გვექნება.

მაგრამ, დღევანდელი სტატისტიკური მონაცემები რაც გაგვაჩნია, არის, რომ 20 ათასზე მეტმა ადამიანმა გადაკვეთა საზღვარი და უკან გამობრუნებულები არიან ერთეულები, რომლებიც ტექნიკური გაუმართაობის და არცოდნის გამო დააბრუნეს უკან.

ჩვენმა კამპანიამ ძალიან კარგი შედეგი მოგვცა. ცნობიერების ამაღლება მნიშვნელოვანია, — აღნიშნა დოლიძემ.

# შენობებში ენერგიის მოხმარება უნდა დარეგულირდეს




„ენერგოეფექტურობის ცენტრის“ ხელმძღვანელის გიორგი აბულაშვილის განცხადებით, ქვეყანაში ენერგოეფექტურობის განვითარების კუთხით, აუცილებელია შესაბამისი საკანონმდებლო აქტების შემუშავება. ამის შესახებ მან რადიო „კომერსანტის“ გადაცემაში „პროფესიონალები“ ისაუბრა.— ენერგოეფექტურობის საქმიანობის შინაარსიდან გამომდინარე, ენერგოეფექტურობის შესამუშავებელი კანონმდებლობა შეიძლება იქნეს დაყოფილი რამდენიმე აქტად. მაგალითად, კანონმდებლობა, რომელიც შენობებში ენერგიის მოხმარებას არეგულირებს; კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს ენერგომოხმარებას საყოფაცხოვრებო მოწყობილობებში და კანონმდებლობა, რომელიც ტრანსპორტში ენერგიის მოხმარებას არეგულირებს. რიგი საკანონმდებლო აქტებისა არის შესამუშავებელი.

— უახლოესი გეგმა არის ენერგოეფექტურობის ჩარჩო კანონმდებლობის შემუშავება, რომლის პროცესიც დაწყებულია და საქართველოს მთავრობას ამ პროცესში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი ეხმარება. ამ პროცესს წინ უსწრებს, ენერგეტიკული გაერთიანების მოთხოვნის შესაბამისად, სამოქმედო გეგმის შემუშავება. გეგმა შემუშავებულია, მაგრამ ჯერ არ დამტკიცებულა, — აღნიშნა აბულაშვილმა.

მისი თქმით, ენერგოეფექტურობის ჩარჩო კანონმდებლობის დათქმული ვადები 2018-2019 წლებია, თუმცა ეს ვადები, შესაძლოა, ცოტა დროში გადაიწიოს.

— მუშაობა მიმდინარეობს საყოფაცხოვრებო მოწყობილობებში ე.წ. ენერგეტიკული მარკირების შემოღების შესახებ, ანუ ჯერ მარკირების სისტემა უნდა შეიქმნას და შემდეგ კანონმდებლობა. ასევე, ენერგოეფექტურობის ისეთი სტანდარტები უნდა შემუშავდეს, რომელიც შენობებში ენერგიის მოხმარებას დაარეგულირებს. შენობები საქართველოში ენერგორესურსების ერთ-ერთი მსხვილი მომხმარებლები არიან და ტრანსპორტის შემდეგ მეორე ადგილს იკავებენ. ასევე, კანონმდებლობამდე შემდეგი სტანდარტები უნდა შემუშავდეს: როგორი უნდა იყოს შენობა მშენებლობის ან კაპიტალური შეკეთების ეტაპზე, რა ტექნიკურ პარამეტრებს უნდა აკმაყოფილებდეს და ა.შ. ამ ნორმების შემუშავების შემდეგ, მარეგულირებელი დოკუმენტი უკვე ძალაში შევა. 2018-2019 წლები ამ კანონმდებლობის პირველადი დათქმული ვადებია, თუმცა შეიძლება ეს ვადები ცოტათი გადაიწიოს, — განმარტა გიორგი აბულაშვილმა.

# „კონსტიტუციის 94-ე მუხლის არსებული ფორმით შენარჩუნება აუცილებელია“

საქართველოს წამყვანი ბიზნესგაერთიანებები კონსტიტუციის 94-ე მუხლთან დაკავშირებით საგანგებო განცხადებას ავრცელებენ, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

— რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, საქართველოს კონსტიტუციაში დაგეგმილი ცვლილებების პროცესში ჯერ კიდევ განიხილება შესაძლებლობა, რომ გაუქმდეს კონსტიტუციის 94-ე მუხლი, რომლის თანახმადაც ახალი გადასახადის შემოღება ან გადასახადის განაკვეთის გაზრდა დასაშვებია მხოლოდ რეფერენდუმის გზით.

ჩვენ, წამყვანი ბიზნესგაერთიანებები, მივიჩნევთ, რომ კონსტიტუციის 94-ე მუხლის არსებული ფორმით შენარჩუნება აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკური ზრდის და განვითარებისთვის, სტაბილური ბიზნეს და საინვესტიციო გარემოს შენარჩუნებისათვის. გამომდინარე საკითხის უდიდესი მნიშვნელობიდან, ჩავთვალეთ საჭიროდ, საზოგადოებას კიდევ ერთხელ განვუმარტოთ ამ ჩანაწერის შენარჩუნების აუცილებლობა, რადგან:

1. მნიშვნელოვანია საქართველოში უნიკალურად მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შენარჩუნება და განმტკიცება. აღნიშნული ჩანაწერი საკონსტიტუციო დონეზე უზრუნველყოფს ფისკალური პოლიტიკის სტაბილურობასა და განჭვრეტადობას, რითაც მიმზიდველს ხდის საქართველოს უცხოური ინვესტიციებისთვის, ასევე, ხელს უწყობს ადგილობრივი მეწარმეობის განვითარებას. მისი შენარჩუნება უკიდურესად მნიშვნელოვანია საქართველოს წინაშე მდგარი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების და გეოპოლიტიკური გამოწვევების ფონზე. ქვეყანაში ეკონომიკური ზრდა დიდწილად განპირობებულია უცხოური ინვესტიციებითა და ადგილობრივი მეწარმეების საინვესტიციო აქტივობით.

BUSINESS ASSOCIATION OF GEORGIA
საქართველოს ბიზნეს ასოციაცია

ინვესტორს აქვს შესაძლებლობა, განახორციელოს ინვესტიცია რეგიონის თუ მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში და, ამ მხრივ, კონკურენცია ქვეყნებს შორის მუდმივად იზრდება. ინვესტიციების მოსაზიდად საქართველო ინვესტორს უნდა სთავაზობდეს უნიკალურ, სტაბილურ საინვესტიციო და ბიზნესგარემოს. ნებისმიერ სხვა შემთხვევაში არ არის ნათელი, რა კონკურენტული უპირატესობა გააჩნია საქართველოს სხვა ქვეყნებთან, მათ შორის, რეგიონთან შედარებით.

ამ ჩანაწერის გაუქმება საგრძნობლად გააუარესებს საქართველოს კონკურენტუნარიანობას საინვესტიციო მიმზიდველობის კუთხით და შეამცირებს ინვესტიციების შემოდინებას, რაც ნეგატიურად აისახება ეკონომიკურ ზრდაზე და შეაფერხებს ქვეყნის განვითარებას.

ამიტომ, მიგვაჩნია, რომ აუცილებლად უნდა შენარჩუნდეს აღნიშნული საკონსტიტუციო ჩანაწერი და მის შესაბამისად მიღებული ორგანული კანონი — „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“.

2. ამასთანავე, მიგვაჩნია, რომ საქართველოს მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ უფლება, თავად გადაწყვიტონ, გაიზარდოს თუ არა მათი გადასახადები.

მოქალაქეების უფლება, რეფერენდუმის გზით გადაწყვიტონ გადასახადების გაზრდის საკითხი, უშუალოდაა დაკავშირებული მათ უფლებასთან — განკარგონ საკუთარი შრომის შედეგად მიღებული შემოსავლები და ეს განახორციელონ პირდაპირი დემოკრატიის ფორმით.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, დარწმუნებულნი ვართ, რომ ქვეყნის ძირითადი კანონიდან ამ მნიშვნელოვანი გარანტიის გაქრობა გააჩენს არასტაბილურობის განცდას და გადასახადების ზრდის მოლოდინს, რაც ქვეყნის ეკონომიკისთვის მოქალაქეების და ბიზნესსექტორისათვის თანაბრად დამაზიანებელი იქნება.

ჩვენ აქ შევიკრიბეთ, რათა მივმართოთ და ვთხოვოთ ყველას, ვინც ჩართულია ან შეიძლება ჩაერთოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების მიღებაში — შევინარჩუნოთ ქვეყნის სტაბილური ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გარანტი — საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლი, — ნათქვამია განცხადებაში.

# გია ჯიბლაძის გატაცებისთვის დავით ბერეჟიანს და ნიკიფორე კუტალაძეს ბრალი წაუყენეს

## ადვოკატი: „მოიყვანეს ამ ადამიანებმა სახლში ჯიბლაძე, გადაკოცნეს ერთმანეთი და ამით დამთავრდა ყველაფერი“



გუშინ, 14 ივნისს, სამშენებლო კომპანია „სვეტის“ ხელმძღვანელის გატაცების საქმეზე დაკავებულ დავით ბერეჟიანს და ნიკიფორე კუტალაძეს ბრალი ოფიციალურად წაუყენეს.

როგორც მოდულის შენობიდან გამოსვლის შემდეგ ბერეჟიანისა და კუტალაძის ადვოკატმა განაცხადა, 4 დაკავებულს გამოძიება მხოლოდ გატაცებას ედავება.

როგორც ადვოკატმა ფრიდონ ყუფარაძემ აღნიშნა, მას საქმის მასალები ახლა გადაეცა, მათ შორის ვიდეომასალები, რომელთაც შეისწავლის და სასამართლოში დასაფიქსირებელ პოზიციას ჩამოაყალიბებს.

– ბრალი წაუყენეს გატაცების მუხლით. არავითარ გამოძალვაზე ჯერჯერობით საუბარი არ არის. როგორც გამომძიებელმა თქვა, 4 დაკავებულს მხოლოდ გატაცებას ედავებიან. ბრალდებულები ბრალს არ აღიარებენ.

ბრალი არის მოგონილზე მოგონილი. ამაში ვგულისხმობ იმას, რომ ე.წ. დაზარალებულს დაცვის თანამშრომლები ახლდნენ, როცა აწ უკვე დაკავებულები მივიდნენ მასთან შესახვედრად. შეხვდნენ, მანქანაში ჩასხდნენ და წავიდნენ, მათი დაბრუნებაც უნდა იყოს გადაღებული კამერებით. იმედია, ეს ყველაფერი ასახული იქნება იმ დისკებში, რომლებიც საქმის მასალებთან ერთად გადმომეცა, – განაცხადა ფრიდონ ყუფარაძემ.

მისივე თქმით, „სვეტის“ დირექტორმა ბრალდებულებს „გაუჩალიჩა“.

– ეს ყველაფერი „გაუჩალიჩა“, რათა ვალდებულებებს თავი აარიდოს და თუ ვინმესთვის ვალი აქვს გადასახდელი, ამასაც მოუაროს, – აღნიშნა დავით ბერეჟიანის და ნიკიფორე კუტალაძის ადვოკატმა.

დაკავებულები წარდგენილ ბრალს არ აღიარებენ.

დაცვის მხარე აცხადებს, რომ საქმის ვერც ერთი მტკიცებულება, მათ შორის ვერც აუდიო და ვერც ვიდეო მტკიცებულება ვერ ადასტურებს, რომ დაკავებულებმა სამშენებლო კომპანია სვეტის დამფუძნებელი გაიტაცეს.

დაცვის მხარის განცხადებით, გია ჯიბლაძემ გამოიგონა გატაცების ფაქტი, რადგან ჯიბლაძეს ფინანსური ვალდებულებების შესრულება არ სურს, რომელიც კომპანია „მშენებელ სამთან“ აქვს.

ადვოკატის თქმით, დაკავებულები ამ კომპანიის წარმომადგენლები არიან.

– ჩანაწერებში, არც აუდიო და არც ვიდეო ჩანაწერებში არსად არის არანაირი ფაქტი, რომელიც ასახავდა გატაცებას, არ არის არც ერთი სიტყვა, რომელიც ასახავდა გამოძალვას. მე ვთვლი, რომ აბსოლუტურად არანაირი მტკიცებულება არ არის იმის, რაზეც მიდის საუბარი.

გამოძიება თითქოს მიდის ცალმხრივად, საერთოდ არ აქვს საუბარი დაზარალებულს, ვინ არის, რა ვალდებულებები ჰქონდა, რა უნდოდათ. გამოძიება მიდის მხოლოდ იმ კუთხით, რომ ამ ოთხმა პირმა რაღაც დააშავა, – განაცხადა ადვოკატმა იოსებ ხარატიშვილმა.

* * *

დავით ბერეჟიანმა და ნიკიფორე კუტალაძემ შესაძლოა დუმილის უფლება გამოიყენონ. ამის შესახებ ბერეჟიანისა და კუტალაძის ადვოკატმა ფრიდონ ყუფარაძემ განაცხადა.

– ფაქტობრივად, საერთოდ დანაშაული არ იკვეთება. ეს ბიჭები არიან ტყუილუბრალოდ დაკავებულები და ჩვენი სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, რატომღაც დარწმუნებული ვარ, რომ ხვალ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდებათ. თქვენი ვალი რომ ჰქონდეს ვინმეს, მიხვიდეთ და უთხრათ – ჩემი ვალი დამიბრუნე, ამისთვის ციხეში უნდა წახვიდე?

ამ საქმიდან შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ჯიბლაძე პოლიციას და პროკურატურას, ფაქტობრივად, იყენებს თავისი მიზნების შესასრულებლად, რომ არ გადაიხადოს ვალი და თავისი ბიზნესვალდებულებები არ შეასრულოს. არავითარ გატაცებას არ ჰქონია ადგილი, სისულელეა, – განაცხადა ადვოკატმა.

ფრიდონ ყუფარაძის თქმით, დავით ბერეჟიანი და ნიკიფორე კუტალაძე არ არიან იმ კომპანიის წარმომადგენლები, რომელთანაც „სვეტის“ ხელმძღვანელს ჰქონდა ხელშეკრულება. მისივე ინფორმაციით, ორივე დაკავებული სხვა კომპანიას წარმოადგენენ, რომლის თანხაც ასევე მართებდა „სვეტს“.

ამასთან, ადვოკატი ადასტურებს, რომ 26 მაისს დაკავებულები ჯიბლაძეს ნამდვილად შეხვდნენ, თუმცა მუქარას და ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლას კატეგორიულად უარყოფს.

– 26 მაისს ნამდვილად შეხვდნენ ერთმანეთს. ჯიბლაძის დაცვის ორი თანამშრომელიც იქ იდგა. ჩაუჯდა მანქანაში ჯიბლაძე და წავიდნენ კაფეში. მოგვიანებით ჯიბლაძემ უარი თქვა და სთხოვა, დაებრუნებინათ სახლში. მოიყვანეს ამ ადამიანებმა სახლში, გადაკოცნეს ერთმანეთი და ამით დამთავრდა ყველაფერი. ჩემი მარწმუნებელი ამბობს, რომ ჯიბლაძის დაცვა გარეთ იდგა, – განაცხადა ფრიდონ ყუფარაძემ.

# დათო როსტომაშვილს თავი გაუტეხეს



გუშინ 5 დეკემბრის ქუჩაზე იუმორისტ დათო როსტომაშვილს თავს უცნობი ნიღბიანი პირი დაესხა და ბეისბოლის ჯოხით სცემა. მიზეზი ჯერჯერობით უცნობია.

როსტომაშვილი, ინგოროყვას კლინიკაში გადაიყვანეს. მას თავის ღია ჭრილობა და სხვადასხვა დაზიანებები აღენიშნება.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, ცხელ კვალზე დაკავებულია ერთი პირი.

# პროკურატურამ რეპერი მასტერი დაკითხა

## „ბირჟა მაფიის“ საქმეზე გამოძიება გრძელდება



გუშინ, 14 ივნისს, თბილისის პროკურატურაში „ბირჟა მაფიას“ საქმესთან დაკავშირებით დაკითხვაზე რეპერი მასტერიც (გიორგი პავლიაშვილი) იმყოფებოდა.

როგორც დაკითხვიდან გამოსულმა რეპერმა განაცხადა, მან საგამოძიებო უწყებას ინფორმაცია მიაწოდა მისი და ჯგუფის ერთ-ერთი წევრის, გიორგი ქებურიას, მიმოწერის შესახებ, რომელიც „ბირჟა მაფიას“ ვიდეოკლიპს ეხებოდა.

მისი თქმით, ინფორმაცია იმის შესახებ, რომ აღნიშნულმა ვიდეომ პოლიციელების გაღიზიანება გამოიწვია, მან სწორედ გიორგი ქებურიასგან მიიღო.

– მქონდა ჩემ მეგობართან გიორგი ქებურიასთან მიმოწერა დაკავებამდე წინა ღამით, გიორგი მეუბნება, რომ შსს-ში გაღიზიანებულები არიან მგონი კლიპით, იმიტომ, რომ „აჭარანეთს“ უთხრესო, მე ვკითხე, აჭარა რა შუაშიაო და მან მითხრა, რომ კლიპი მათ გადაიღეს. აი, ასეთი მოკლე მიმოწერა გვქონდა. სქრინი მე თვითონ მოვიტანე. ეს არის კლიპის გამო გაკეთებული, ბიჭებს ნარკოტიკები არ ჰქონიათ, არ ეკარებიან ცხოვრებაში ნარკოტიკებს, – განაცხადა გიორგი პავლიაშვილმა.

გუშინვე პროკურატურაში დაკითხეს „ბირჟა მაფიას“ კლიპში მონაწილე პოლიციელის როლის შემსრულებელი. გიორგი გაგუას ჟურნალისტებთან კომენტარი არ გაუკეთებია. თბილისის პროკურატურაში მისი დაკითხვა 13:00 საათზე დაიწყო და 18:00 საათზე დასრულდა.

„ბირჟა მაფიას“ საქმეზე, რომელიც პოლიციელების მხრიდან უფლებამოსილების გადამეტების თაობაზეა დაწყებული, გუშინ კლიპში მონაწილე მსახიობი ანასტასია ჯაფარიძეც დაიკითხა.

# თბილისში, აეროპორტის გზაზე მომხდარი ავარიის დროს ერთი ადამიანი დაიღუპა



თბილისში, აეროპორტის გზაზე ავტოსაგზაო შემთხვევას ერთი ადამიანი ემსხვერპლა. არსებული ინფორმაციით, ავტომობილის მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა და ბოძს შეეჯახა. ავტომობილში ორი პირი იმყოფებოდა, რომელთაგანაც ერთი დაიღუპა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდართან დაკავშირებით ძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეხუთე ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა.

# არასამთავრობო ორგანიზაციები ნარკოპოლიტიკისა და პოლიციის სისტემის რეფორმას ითხოვენ

კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ და „საქართველოს ნარკოპოლიტიკის ეროვნული პლატფორმა“ ეხმაურებიან დემურ სტურუას თვითმკვლელობამდე მიყვანის საქმეზე ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენს და პარალელურად, ჯგუფ „ბირჟა მაფიის“ წევრების მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეს.

როგორც მათ მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული, მუსიკოსების დაკავების დღეს სასამართლომ სტურუას თვითმკვლელობის საქმეში ბრალდებული პოლიციელის მიმართ გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა, რამაც საზოგადოებაში სამართლიანი პროტესტის გრძნობა გააჩინა.

– ასევე ორმაგი სტანდარტებით მართლმსაჯულების განხორციელების განცდა შექმნა იმ ფაქტმა, რომ თვითმკვლელობის უმძიმეს საქმეში სასამართლომ პოლიციის მხრიდან უფლებამოსილების გადამეტების ფაქტიც კი ვერ დაადგინა, არტისტების მიმართ უკიდურესად საეჭვო საფუძვლებით დაწყებულ სისხლის სამართლის საქმეში კი მათ პატიმრობა შეუფარდა.

მოგვიანებით მუსიკოსების საქმის ირგვლივ განვითარებულმა მოვლენებმა და პოლიტიკური ფიგურების მოწოდებების შემდეგ მათთვის აღკვეთის ღონისძიების სახის შეცვლამ, ფაქტობრივად დაადასტურა ამ საქმეში მართლმსაჯულების ორგანოების პოლიტიზირების პრობლემა.

წლების განმავლობაში სამართალდამცავი სისტემის უმთავრეს გამოწვევას პოლიციელთა მხრიდან არასათანადო მოპყრობისა და ძალის გადამეტების შემთხვევები, ასევე უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება წარმოადგენდა. ამასთან, გავრცელებული პრაქტიკა იყო ნარკოტიკული დანაშაულის გამოყენებით არასასურველი პირების იზოლაცია, რაც გასულ წლებში სისტემურ სახეს ატარებდა. სამწუხაროდ, ნარკოტიკული ნივთიერებების შესაძლო ჩადებაზე საუბარი ბოლო თვეების განმავლობაში კვლავ აქტუალური გახდა. „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკის პირობებში შემუშავებული და დღესაც მოქმედი რეპრესიული ნარკოპოლიტიკა კომფორტულ სივრცეს ქმნის პოლიციისა და პროკურატურისთვის, განახორციელონ მოქალაქეებზე სხვადასხვა ტიპის ზეწოლა, იძულება და სხვა არაკანონიერი მიზნები.

სამწუხაროდ, ამ დრომდე არ გატარებულა ადეკვატური ზომები, იმისთვის, რომ სამართალდამცავ უწყებაში არსებული დაუსჯელობის სინდრომი აღმოფხვრილიყო და სათანადო რეაგირება მოჰყოლოდა პოლიციელთა მხრიდან ჩადენილ გადაცდომებს. ხელისუფლება ამ მომენტამდე არ თანხმდება რეალურად დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოს შექმნას. სასამართლოს მხრიდან მისთვის დაკისრებული მაკონტროლებლის ფუნქციის არასათანადოდ შესრულება კი პირდაპირ ახალისებს ისეთ მავნე პრაქტიკებს, როგორიცაა მტკიცებულებების ფალსიფიკაცია, ადამიანის უფლებათა უსაფუძვლო შეზღუდვა და სხვა.

ორივე ზემოაღნიშნული საქმე სწორედ ამ ზოგადი კონტექსტის ნათელი გამოხატულებაა. ხსენებულ საქმეებში მხოლოდ მძლავრი საზოგადოებრივი პროტესტის შემდეგ გახდა შესაძლებელი პროკურატურას დაეწყო გამოძიება პოლიციის მხრიდან უფლებამოსილების სავარაუდო გადამეტების ფაქტზე. ეს მიანიშნებს იმაზე, რომ მართლმსაჯულების ორგანოები გამართულად ვერ ფუნქციონირებს და მათი მოქმედება დიდწილად ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ განწყობებზეა დამოკიდებული. ეს კი გამორიცხავს საზოგადოების რწმენას ქვეყანაში სამართლის უზენაესობის არსებობის მიმართ.

ამ ფონზე კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ ხსენებული კომპლექსური პრობლემები მხოლოდ კონკრეტული პოლიციელების ერთეულ გადაცდომებამდე და პასუხისმგებლობამდე არ იყოს დაყვანილი. ასევე საჭიროა საკითხების გააზრებისას სათანადო ყურადღება მიექცეს როგორც რეპრესიული ნარკოპოლიტიკის, ისე სამართალდამცავი და მართლმსაჯულების ორგანოების რეფორმირების აუცილებლობას. ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციის შესახებ გაკეთებული პოლიტიკური განცხადებები კონკრეტულ სამართლებრივ რეფორმებში დროულად უნდა გამოიხატოს, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლების საპასუხო ნაბიჯები მხოლოდ ნარკოპოლიტიკის ცვლილებით არ შემოიფარგლოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კრიტიკულად მნიშვნელოვანია:

– მოხდეს პრობლემის ადეკვატური გააზრება და მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირებმა სწორი შეფასება მისცენ პრობლემას, რომელიც სცილდება ნარკოპოლიტიკას და სისტემური მიზეზები გააჩნია;

– განხორციელდეს სასამართლოს ძირეული რეფორმა და ჩამოყალიბდეს პოლიტიკური ჯგუფების, აღმასრულებელი ხელისუფლებისა და სამართალდამცავი ორგანოებისგან თავისუფალი, ძლიერი და კომპეტენტური სასამართლო კორპუსი;.

– გატარდეს ძირეული რეფორმა სამართალდამცავ სისტემაში, რომლის მიზანიც იქნება თანამედროვე პოლიციის ჩამოყალიბება, სადაც მინიმუმამდე იქნება დაყვანილი არასათანადო მოპყრობისა და ძალის გადამეტების რისკები სამართალდამცავთა მხრიდან;

– განხორციელდეს არსებული რეპრესიული ნარკოპოლიტიკის საფუძვლიანი გადახედვა, რომლის შედეგადაც ძირითადი აქცენტები მოქალაქეთა დასჯიდან და იზოლაციიდან, გადავა საჭიროების მქონე ადამიანების რეაბილიტაციასა და რესოციალიზაციაზე;

– შეიქმნას დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი, რომელიც იქნება უფლებამოსილი, აწარმოოს გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა სამართალდამცავთა მხრიდან შესაძლო დანაშაულის ფაქტებზე“, – ნათქვამია განცხადებაში.

# რუსეთი ამერიკის წინააღმდეგ ქალებსაც იყენებს

## რა საფრთხე ემუქრებათ სამხედროებს



მარიამ მჭედლიშვილი

**რუსეთის გააქტიურებული პროპაგანდა საქართველოში აქტუალური თემაა, თუმცა, რუსეთი თავისი მიზნებისთვის, პროპაგანდის გარდა, სხვა საშუალებებსაც აქტიურად იყენებს. ამაზე მეტყველებს ამერიკელი სპეციალისტების მიერ ჩატარებული კვლევები, რომლებიც საქართველოსთვის აქტუალურია.**

ეს საშუალებები შეიძლება ჩაითვალოს რბილი ძალის შემადგენელ ნაწილად.

ამერიკელი სპეციალისტების ინფორმაციით, რუსეთი აშშ-ის წინააღმდეგ მხოლოდ ჰაკერულად არ იბრძვის. საამისოდ გამოიყენება სოციალური ქსელები. განსაკუთრებით საგანგაშოა, რომ ამ იარაღს მიმართავენ ჯარის წინააღმდეგ.

რუსეთის სპეცსამსახურების მიერ დაქირავებული მიმზიდველი ქალები დამეგობრებას სთავაზობენ ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეებს ფეისბუქში, ითხოვენ, რომ ისინი მათი აკაუნტების ხელმომწერები გახდნენ. დამეგობრების შემდეგ ხდება სადაზვერვო ინფორმაციის მოძიება, ასევე სამხედროების მოქმედებებისათვის თვალყურის დევნება.

რუსეთის ჰაკერების ჯგუფი, რომელმაც გატეხა აშშ-ის დემოკრატიული პარტიის ფოსტა, პასუხისმგებელია სხვა მოქმედებებზეც. მათ შორის, სამხედრო ინფორმაციების მოპარვაზე.

მეოცე საუკუნეში სხვა ქვეყნების სადაზვერვო სამსახურები სამხედროებს უსაფრდებოდნენ გასართობ დაწესებულებებთან. ჯაშუშები მათთან ნდობაში შედიოდნენ ალკოჰოლისა და სპეციალური უნარ-ჩვევების გამოყენებით.

დღეს საიდუმლო ინფორმაციების მოსაპოვებლად ერთ-ერთი იარაღი სოციალური ქსელებია. ამ გზით შესაძლებელია ადვილად დაუმეგობრდე და დასტყუო ინფორმაცია სამხედრო მოსამსახურეებს, ასევე მათზე მოახდინო ზეგავლენა, გაავრცელებინო დეზინფორმაცია და პროპაგანდისტული მასალა.

ამერიკელი ანალიტიკოსი ჯონ ბამბენეკი ამ სიტუაციას შემაშფოთებელს უწოდებს და აღნიშნავს, რომ რუსეთი ერთ-ერთია იმ რამდენიმე სახელმწიფოს შორის, რომელიც იყენებს სატყუარებს სამხედრო ხასიათის სადაზვერვო ინფორმაციის მოსაპოვებლად.

რუსეთის სპეციალურ სამსახურებს აპრობირებული აქვთ დეზინფორმაციის გავრცელებაც. სხვადასხვა პრორუსული ინფორმაციებიდან ხანდახან ძნელია იმის გარჩევა, რომელი მათგანია ნამდვილი და რომელი – ცრუ.

რამდენიმე თვის წინ გაირკვა, რომ რუსეთის ჰაკერების ჯგუფს ჰქონდა წვდომა დანიის თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლების ელექტრონულ ფოსტაზე. მისი საშუალებით საიდუმლო ინფორმაციები არ იგზავნებოდა, თუმცა, დანიამ მაინც ჩათვალა, რომ ეს ემუქრება ქვეყნის უსაფრთხოებას. პირადი ინფორმაციების მოპოვებით რუსეთს უნდოდა, დაეშანტაჟებინა დანიელი სამხედრო მოსამსახურეები და ექცია ისინი საკუთარ აგენტებად.

ამერიკელი ექსპერტების შეფასებით, პოლიტიკური ომის ახალი ფორმა მოიცავს დეზინფორმაციას, პროპაგანდას, ასევე ხელმძღვანელების დისკრედიტაციას შანტაჟისა და მოქრთამვის გზით.

რუსეთი ამ იარაღს იყენებს იმისთვის, რომ მოახდინოს პოლიტიკური პროცესის დისკრედიტაცია აშშ-ში. რუსეთი ამგვარ სცენარს იყენებს ამერიკული საზოგადოების სხვა სფეროების წინააღმდეგაც. მათ შორის უპირველესია არმია.

მოსკოვის მოქმედებებს ამ მიმართულებით შეუძლია, ხელი შეუშალოს ამერიკის შეიარაღებულ ძალებს, სწორად შეაფასონ სიტუაცია და ეფექტურად აღუდგნენ წინ რუსეთის აგრესიას.

რუსეთის მხრიდან კიბერშეტევებისა და სხვა მეთოდების ერთობლივად გამოყენებას საგანგაშოდ მიიჩნევენ პოლონელი ექსპერტები. მათი აზრით, მესამე მსოფლიო ომი დაწყებულია, რუსეთი ამ ომში აქტიურად იყენებს „ვირტუალურ“ კაცუნებს.



## ტრამპმა ბელარუსის მიმართ დაწესებული სანქციები გააგრძელა

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ხელი მოაწერა ბრძანებას ბელარუსის მთავრობის წევრების მიმართ სანქციების გაგრძელების შესახებ.

ხსენებულ პირებს ბრალად ედებათ კორუფცია და ადამიანის უფლებების დარღვევა.

– აშშ თავისუფლებისა და დემოკრატიის იდეალების სადარაჯოზე განუხრელად დგას, – განაცხადა ტრამპმა.

ბელარუსის წინააღმდეგ სანქციები 2006 წელს ჯორჯ ბუშის ბრძანებით შემოიღეს. ტრამპმა თავისი განკარგულებით მათ ვადა გაუგრძელა.

## აშშ-ის გენპროკურორი რუსეთთან კავშირს უარყოფს



აშშ–ის გენერალური პროკურორი ჯეფ სეშნსი სენატის წინაშე წარდგა. მან უარყო გამოძიების ფედერალური ბიუროს ექს-დირექტორ ჯეიმს კომის ბრალდებები იმის თაობაზე, რომ ტრამპის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს რუსებთან ჰქონდათ კავშირი.

– რუსეთის ელჩს რამდენჯერმე შევხვდი, ესაა და ეს, – თქვა სეშნსმა.

გენპროკურორის მტკიცებით, ის რუსეთის ელჩ კისლიაკს ორჯერ და არა სამჯერ (როგორც ამას მედია ამტკიცებს) შეხვდა. ეს არა საიდუმლოდ, არამედ აშკარად მოხდა. შეკითხვაზე, კისლიაკთან რა თემაზე ისაუბრეთო, სეშნსმა ფრიად საინტერესო პასუხი გასცა:

– არ მახსოვს!

აღსანიშავია, რომ ადრე სეშნსი კისლიაკთან შეხვედრის ფაქტს საერთოდ უარყოფდა. სენატის წინაშე მან აღიარა, რუსეთის ელჩს შევხვდიო, თუმცა დაამატა:

– არავითარი საიდუმლო მოლაპარაკებები რუსებთან არ ყოფილა!

ამავე დროს, სეშნსმა ხაზი გაუსვა, რომ აშშ არჩევნებში რუსების ჩარევას არ შეეგუება და თუკი ასეთი რამ დადასტურდა, რეაგირება ძალიან მკაცრი იქნება.

– ამას პრეზიდენტი ტრამპიც იზიარებს, – ამბობს სეშნსი.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*



## ვირჯინიის შტატში კონგრესმენი სტივ სკელიზი დაჭრეს

ვირჯინიის შტატის ქალაქ ალექსანდრიაში სროლა იყო, რის შემდეგაც ამერიკელი კონგრესმენი სტივ სკელიზი დაიჭრა.

სკელიზის გარდა კიდევ რამდენიმე ადამიანია დაჭრილი. კონგრესმენის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება და ამჟამად ის საავადმყოფოშია.

სროლა მაშინ დაიწყო, როდესაც სკელიზი ბეისბოლს თამაშობდა. მოტივი ჯერჯერობით უცნობია.

ეჭვმიტანილი, 66 წლის ჯეიმს ჰოდკინსონი, უკვე დააკავეს და სავარაუდოდ უახლოეს დღეებში ბევრი რამ ცნობილი გახდება.

პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა სკელიზს მხარდაჭერა გამოუცხადა.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## „პარლამენტმა გადასახადების გაზრდის პროცესში მოსახლეობის ჩართულობაზე, შესაძლოა, უარი თქვას“

საქართველოს ბიზნეს ასოციაციის შემდეგ კონსტიტუციიდან 94-ე მუხლის შესაძლო ამოღებას აპროტესტებს არასამთავრობო სექტორი. როგორც 9 არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ვკითხულობთ, პარლამენტში მიმდინარე საკომიტეტო განხილვების ფარგლებში გაჟღერდა მოსაზრება საქართველოს კონსტიტუციის პროექტიდან 67-ე (მოქმედი რედაქციით 94-ე) მუხლის ამოღების შესაძლებლობის შესახებ, რომელიც მთავრობის მიერ საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის ახალი სახის შემოღების (გარდა აქციზისა) ან არსებული განაკვეთის ზედა ზღვრის გაზრდის შემთხვევაში რეფერენდუმის ჩატარებას ითვალისწინებს, გარდა ორგანული კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

– მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პარლამენტის მხრიდან მრავალჯერ დაფიქსირდა პოზიცია საქართველოს კონსტიტუციაში აღნიშნული ჩანაწერის შენარჩუნების თაობაზე, რაც აისახა კიდეც ინიცირებულ კანონპროექტში, გაუგებარია, რამ განაპირობა მმართველი პარტიის მოსაზრებების ცვლილება. მით უფრო, რომ აღნიშნული მუხლის ამოღება ბიზნეს სექტორისა და რიგი არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან არაერთხელ შეფასდა ნეგატიურად.



ვფიქრობთ, რომ გადასახადების გაზრდასთან დაკავშირებულ პროცესში მოსახლეობის ჩართულობა მთავრობის და პარლამენტის მხრიდან განსაკუთრებულ ანგარიშვალდებულებაზე მიუთითებს. მოქალაქეებს უნდა შეუნარჩუნდეთ არსებული უფლება – მიიღონ გადაწყვეტილება გადასახადის ახალი სახის შემოღებისა თუ ზედა ზღვრის გაზრდის შესახებ, და შესაბამისად უნდა გამოირიცხოს მთავრობის მიერ ამ საკითხზე გადაწყვეტილების ერთპიროვნულად მიღების შესაძლებლობა.

გარდა ამისა, აღნიშნული ჩანაწერის ამოღება ცალსახად ნეგატიურად უნდა შეფასდეს ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობისა და ბიზნეს გარემოს განჭვრეტადობის კუთხით. მიგვაჩნია, რომ ქვეყნის ეკონომიკური ზრდის, მიმზიდველი ბიზნეს გარემოს შენარჩუნებისა და განვითარებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია ამ ჩანაწერის შენარჩუნება საქართველოს კონსტიტუციაში. იმედს ვიტოვებთ, პარლამენტი არ დაუჭერს მხარს აღნიშნული ჩანაწერის გაუქმებას, – განცხადებას ხელს აწერენ არასამთავრობო ორგანიზაციები.

როგორც ცნობილია, კონსტიტუციიდან 94-ე მუხლის შესაძლო ამოღებას აპროტესტებს საქართველოს ბიზნეს ასოციაცია. როგორც ორგანიზაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული, „კონსტიტუციის 94-ე მუხლის არსებული ფორმით შენარჩუნება აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკური ზრდის, სტაბილური ბიზნეს და საინვესტიციო გარემოს შენარჩუნებისათვის“.

## განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით.აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი..

● ალკოჰოლიზმი, „პახმელია“, „ზაპოი“, ალკოჰოლიზმისაგან გამოწვეული ნევროზი, უძილობა, აგრესიულობა, ღვიძლის პრობლემების მოწესრიგება – მცენარეული, შედეგიანი, მეტეხისა და ბეთლემის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში.სიგარეტის მიტოვება მცენარეული, უსაფრთხო გარანტირებული პრეპარატით. უკუჩვენება გამორიცხულია. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემები – გასტრიტი, კუჭის წვენის დაბალი და მაღალი მჟავიანობა, კუჭშეკრულობა, კუჭაშლილობა და ა.შ. ნერვული სისტემის, სახსრების, პოტენციის და კანის სხვადასხვა პრობლემების მოწესრიგება. ბეთლემისა და მეტეხის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები უსაფრთხოა. ტელ:558-34-36-24.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# უმცროსმა ბორჯღალოსნებმა ელიტაში ადგილი შეინარჩუნეს

**საქართველო-არგენტინა 26:25**

**თბილისი.** მიხეილ მესხი

უმცროსმა ბორჯღალოსნებმა მსოფლიო რაგბის 20-წლამდელთა ჩემპიონატის პლეი ოფში პუმიტასი 26:25 დაამარცხა და გაისადაც 12-გუნდი ელიტაში ითამაშებს.

ჯგუფური ეტაპის დაწყებამდეც ვიცოდით, რომ ჩვენი გუნდის სამწვრთნელო შტაბი გათვლას თავიდანვე მეოთხე თამაშზე აკეთებდა. ამიტომაც იყო, ბოლო მატჩში ფრანგებთან მე-2 შემადგენლობით ითამაშეს და ნულზე წაგებით გულშემატკივრები გაანაწყენეს. თუმცა, ეს გამართლებული ნაბიჯი იყო, რადგან მორაგბეებს დასვენების საშუალება მიეცათ.

ერთია, ჯგუფურ ეტაპზე მოვლენები ისე განვითარდა, რომ სავარაუდო მეტოქეებს ავცდით და მე-9 ადგილის ნახევარფინალში არგენტინა გვერგო. არადა, პუმიტასი საქართველოში საჩემპიონოდ ჩამოვიდა, თუმცა ჩვენზე მეტად არ გაუმართლა და 3 თამაშის შემდეგ ქვედა ოთხეულში მოხვდა. ეს თავიანთ თავს უნდა დააბრალონ, რადგან ბოლო მატჩში სამხრეთ აფრიკასთან ისეთი ანგარიშით წააგეს, რომ უარესი მე-3 ადგილი და ელიტაში დარჩენის საკითხი ერგოთ.

სიტუაციის შემობრუნების მიუხედავად, უმცროსმა ბორჯღალოსნებმა გეგმას არ გადაუხვიეს, მიხეილ მესხზე მეტოქეს, რომელსაც ჯგუფურ ეტაპზე 26:37 ჩამოვრჩით, დიდი ბრძოლა გავუმართეთ და საბოლოოდ დავამარცხეთ კიდეც.

**ილია სპანდერაშვილი, კაპიტანი:**

– დავამტკიცეთ, რომ დანარჩენ თამაშებშიც შეიძლებოდა წარმატების მიღწევა. მაგრამ ჩვენ არ გვქონდა სათანადო გამოცდილება, ეს გამოცდილება სწორედ განვლილ 3 შეხვედრაში მივიღეთ და შედეგიც სათანადო დადგა.

მსოფლიოს ჩემპიონობისთვის ერთმანეთს ახალი ზელანდია და ინგლისი დაუპირისპირდებიან.

საინტერესო იყო ინგლისისა და სამხრეთ აფრიკის ნახევარფინალური დაპირისპირება, რომელიც ძალიან დაძაბული გამოდგა და გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. პირველ ნახევარში გუნდებმა 2-2 ლელო დადეს, თუმცა აფრიკელებმა ერთი გარდასახვა ვერ გაიტანეს, ხოლო ინგლისელთა მხრიდან მალინსი უშეცდომო იყო. მან ერთი ჯარიმაც გაიტანა და ტაიმი 17:12 დასრულდა ინგლისელთა სასარგებლოდ.



მე-2 ტაიმში ქურციკების აქტიურობით დაიწყო და 56-ე წუთზე ვან ჰერდენმა მეტოქე დაალელოვა, ხოლო გარდასახვა ბოშმა შეასრულა ზუსტად, რომელმაც 72-ე წუთზე ჯარიმა გაიტანა და აფრიკელები უკვე 5 ქულით გავიდნენ წინ. სამხრეთ აფრიკა გამარჯვებასთან ძალიან ახლოს იყო, მაგრამ 75-ე წუთზე ინგლისელთა შეტევა მერსერის ლელოთი და მალინსის გარდასახვით დასრულდა. საბოლოოდ, 24:22 ინგლისელთა სასარგებლოდ.

შედარებით იოლად გამოვლინდა მეორე ფინალისტი. ახალმა ზელანდიამ ზედმეტი პრობლემების გარეშე დაამარცხა საფრანგეთი. ბეიბი ბლექსმა პირველ ნახევარში შესანიშნავად ითამაშა და მიხეილ მესხზე შეკრებილი ქომაგი ულამაზესი ლელოებით აღაფრთოვანა. ტაიმი 29:0 დასრულდა. მეორე ნახევარიც ზელანდიელთა აქტიურობით დაიწყო და 46-ე წუთზე ანგარიში 36:0 გახდა. ამის შემდეგ ფრანგებმა 4 ლელო დადეს, თუმცა ბეიბი ბლექსს მაინც დამაჯერებელი გამარჯვება გამოუვიდა – 39:26.

# ევროპამდე საქართველომ და ბულგარეთმა მოგებები გაცვალეს

საქართველო 2 ივლისიდან 15 ივლისის ჩათვლით 19 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. თამაშები თბილისსა და გორში გაიმართება.

ა ჯგუფში საქართველოს ნაკრების მეტოქეები იქნებიან ჩეხეთის, შვედეთისა და პორტუგალიის ნაკრებები. გიორგი ყიფიანის გუნდი პირველ შეხვედრას 2 ივლისს, გორის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონზე, პორტუგალიის წინააღმდეგ გამართავს.



ჩემპიონატისთვის მზადების პროცესში საქართველო 19 წლამდე ნაკრებმა ბულგარეთში მოწყობილ შეკრებაზე ადგილობრივ თანატოლთა ნაკრებთან ორი ამხანაგური მატჩი გამართა.

პირველ სპარინგში გიორგი ყიფიანის შეგირდებმა მასპინძლები 1:0 დაამარცხეს. მატჩის ერთადერთი გოლი მე-12 წუთზე შალვა ბურჯანაძემ გაიტანა.

მეორეში კი, გამარჯვება მასპინძლებს დარჩათ. ქართველები მე-16 წუთზე გიორგი კუციამ დააწინაურა, თუმცა ყიფიანის შეგირდებმა უპირატესობის შენარჩუნება ვერ შეძლეს, 2 გოლი გაუშვეს და 1:2 დამარცხდნენ.

ა ჯგუფის გარდა, კიდევ 4 გუნდი ბ ჯგუფშია გადანაწილებული: ინგლისი, გერმანია, ბულგარეთი და ჰოლანდია.

**ევროპის 19-წლამდე ჩემპიონატის განრიგი ასეთია:**

**ა ჯგუფი**

**02 ივლისი:** შვედეთი-ჩეხეთი; საქართველო-პორტუგალია;

**5 ივლისი:** საქართველო-შვედეთი; ჩეხეთი-პორტუგალია;

**8 ივლისი:** ჩეხეთი-საქართველო; პორტუგალია-შვედეთი;

**ბ ჯგუფი**

**3 ივლისი:** ბულგარეთი-ინგლისი; გერმანია-ჰოლანდია;

**6 ივლისი:** ინგლისი-ჰოლანდია; გერმანია-ბულგარეთი;

**9 ივლისი:** ჰოლანდია-ბულგარეთი; ინგლისი-გერმანია;

**12 ივლისი:** ნახევარფინალები;

**15 ივლისი:** ფინალი.

# ხელბურთელთა ნაკრები მეოთხედფინალისკენ მიიწევს

საქართველოს ხელბურთელთა ნაკრებმა განვითარებადი ქვეყნების ჩემპიონატის მეორე დღეს, ბულგარეთის ქალაქ ველიკო ტირნოვოში, დამაჯერებლად, 34:26 დაამარცხა დიდი ბრიტანეთი. ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩში მალტის ნაკრებს ვეთამაშებით და მეოთხედფინალში გასვლის ძალიან დიდი შანსი გვაქვს.

ამისათვის სრულიად საკმარისია მალტის დამარცხება, მეოთხედფინალში კი ჩვენი ყველაზე სავარაუდო მეტოქე იქნება თურქეთის ნაკრები, რომელიც ტურნირის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი და ევროპის 2020 წლის ჩემპიონატის მთავარი საკვალიფიკაციო რაუნდის სამი საგზურიდან ერთ-ერთის მთავარი პრეტენდენტია.

ჩვენი ნაკრები ბულგარეთში ახალგაზრდული გუნდითაა ჩასული და საგზურისთვის კი იბრძოლებს, მაგრამ მთავარ ამოცანად ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადება აქვს დასახული. ლუქსემბურგთან მარცხის შემდეგ გუნდმა კონცენტრირება მოახდინა და თავიდან ბოლომდე იგებდა – ბრიტანეთმა ერთადერთხელ, დასაწყისში გაათანაბრა ანგარიში (1:1), ქართველებმა ტაიმი 17:11 მოიგეს და მეორის დასაწყისშივე 11 ბურთამდე აიყვანეს სხვაობა (21-11), რის შემდეგაც მწვრთნელებმა ლიდერები დაასვენეს და ყველას მისცეს თავის გამოჩენის შანსი.



საქართველოს ნაკრებიდან მატჩის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს მეკარე სანდრო ხანდოიშვილი, ვინც 24 დარტყმიდან 11 მოიგერია.

ჩვენი ნაკრები ძლიერად გამოიყურებოდა დაცვაში, შეტევაში კი დაბალანსებულად ითამაშა: 9 გოლი გავიტანეთ შორიდან, 9 – 6 მეტრიდან, 8 – კუთხეებიდან, 4 – სწრაფ გარღვევაში და 4 – შვიდმეტრიანიდან.

ანდრეი პორტნოი, საქართველოს ნაკრების მწვრთნელი:

– ჩვენ ძალიან კარგად ვითამაშეთ დაცვაში და შეტევის წამოწყებაც კარგი გვქონდა. მალტასთან მატჩის ტაქტიკაზეც ვიმუშავებთ. ბრიტანელებთან კარგად ვიმუშავეთ. მიუხედავად იმისა, რომ მატჩის დიდი ნაწილი უძლიერესი შემადგენლობით არ გვითამაშია, კმაყოფილები ვართ, განსაკუთრებით დაცვაში თამაშით.

# სანჩესით ბარსა დაინტერესდა, კოშტა იუვეს უახლოვდება

ბარსელონას ინტერესის სფეროში მიუნხენის ბაიერნის ახალგაზრდა პორტუგალიელი ლეგიონერი რენატუ სანჩესი მოექცა.

აპენინური მედიის ცნობით, ესპანური გრანდი 19 წლის ნახევარმცველის კანდიდატურას განიხილავს ერთგვარ ალტერნატივად იმ შემთხვევისათვის, თუკი პარი სენ ჟერმენის ფეხბურთელის, მარკო ვერატის ტრანსფერთან დაკავშირებით, კლუბებს შორის შეთანხმება ვერ მოხერხდება.

ზემოაღნიშნული წყაროს ინფორმაციით, პარიზული კლუბი იტალიელი ფეხბურთელის ტრანსფერისათვის 100 მილიონ ევროს ითხოვს, რაც კატალონიური გრანდისთვის მიუღებელი თანხაა. აღნიშნული ფაქტიდან გამომდინარე, ბარსელონამ შესაძლოა აქცენტი სწორედ ბავარიული კლუბის ნახევარმცველზე გააკეთოს, რომლის სატრანსფერო ღირებულება გაცილებით ნაკლებია.

რენატუ სანჩესსა და ბაიერნს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას, მოქმედების ვადად, 2021 წლის 30 ივნისი აქვს განსაზღვრული. ახალგაზრდა ფეხბურთელის მიმდინარე სატრანსფერო ღირებულება 30 მილიონ ევროს შეადგენს.



ბაიერნის ბრაზილიელი შემტევი ნახევარმცველი დუგლას კოშტა ტურინის იუვენტუსს უახლოვდება.

„სკაი სპორტის“ ინფორმაციით, 26 წლის შემტევმა, ტურინულ კლუბთან პირადი კონტრაქტის დეტალები უკვე შეათანხმა, რომლის თანახმადაც წლიური გასამრჯელოს სახით, სამხრეთამერიკელი ფეხბურთელი 7 მილიონ ევროს მიიღებს. ახლა ჯერი კლუბებს შორის შეთანხმებაზეა.

გამოცემის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბაიერნი ბრაზილიელ ვინგერში, 50 მილიონი ევროს გადახდას ითხოვს. იტალიური პრესა კი იტყობინება, რომ ტურინული კლუბის ხელმძღვანელობა მზად არის, მოლაპარაკების საწყის თანხად 40 მილიონი ევრო დაასახელოს.

დუგლას კოშტა მიუნხენური კლუბის შემადგენლობაში 2015 წლის 1 ივლისს ჩაირიცხა. გერმანულ გრანდს დონეცკის შახტარიდან მისი გადაბირება 30 მილიონი ევრო დაუჯდა. კლუბსა და ფეხბურთელს შორის მოქმედი ხელშეკრულება 2020 წლის 30 ივნისამდეა გათვალისწინებული.

2016-17 წლის განვლილ საფეხბურთო სეზონში, შემტევმა ნახევარმცველმა ბავარიის მაისურით 34 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, გახდა 7 გატანილი გოლისა და 9 საგოლე პასის ავტორი.

# შედეგები

**13 ივნისი**

**ფეხბურთი**

**მჩ 2018. შესარჩევი ეტაპი**

**აზია**

ტაილანდი-ემირატები ................... 1:1
ერაყი-იაპონია ................................. 1:1
სირია-ჩინეთი ................................. 2:2
კატარი-ს.კორეა ............................. 3:2

**ოკეანეთი**

პაპუა ახ.გვინეა-სოლ.კუნძულები . 1:2

**კონკაკაფი**

პანამა-ჰონდურასი ......................... 2:2
კოსტა რიკა-ტრინიდადი ............... 2:1

**აზიის თასი. შესარჩევი ეტაპი**

ნეპალი-იემენი ................................ 0:0
კამბოჯა-ავღანეთი ......................... 1:0
მაკაო-მიანმა .................................. 0:4
ბუტანი-მალდივი ........................... 0:2
ვიეტნამი-იორდანია ....................... 0:0
ჰონკონგი-ჩრ.კორეა ...................... 1:1
თურქმენეთი-ბახრეინი .................. 1:2
მალაიზია-ლიბანი .......................... 1:2
ინდოეთი-ყირგიზეთი .................... 1:0
ტაჯიკეთი-ფილიპინები ................. 3:4
პალესტინა-ომანი ........................... 2:1

**ამხანაგური მატჩები**

ავსტრალია-ბრაზილია ................. 0:4
სინგაპური-არგენტინა .................. 0:6
ინდონეზია-პუერტო რიკო ........... 0:0
ს.აფრიკა-ზამბია ........................... 1:2
ნორვეგია-შვედეთი ....................... 1:1
რუმინეთი-ჩილე ............................ 3:2
კამერუნი-კოლუმბია ..................... 0:4
საფრანგეთი-ინგლისი .................. 3:2
ეკვადორი-სალვადორი ................ 3:0
პერუ-იამაიკა ................................. 3:1
ეჩ 2019. შესარჩევი ეტაპი ............ (21)
ლიხტენშტეინი-რუმინეთი ........... 0:2
შვეიცარია-ბოსნია ......................... 1:0
გიბრალტარი-სომხეთი ................ 0:3
სან მარინო-მოლდოვა .................. 0:2

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**



# რა არის პაპ ტესტი




ეკა ირემაშვილი

**პაპ ტესტი – იგივე პაპანიკოლაუს, იგივე ციტოლოგიური ტესტი არის საშვილოსნოს ყელის კიბოს ადრეულ სტადიაზე გამოვლენის ერთ-ერთი საშუალება. ტესტმა სახელწოდება მისი აღმომჩენი ბერძენი ექიმის გეორგიოს პაპანიკოლაუს გვარის მიხედვით მიიღო. გამოკვლევა კეთდება საშვილოსნოს ყელიდან გარკვეული წესების დაცვით აღებულ ნაცხში და შემდეგ ხდება მიკროსკოპის ქვეშ აღნიშნული ნაცხის ციტოლოგიური გამოკვლევა ატიპიური ანუ შეცვლილი უჯრედების აღმოჩენის მიზნით. არსებობს პაპ ტესტის კლასიფიკაცია დაზიანების ხარისხის მიხედვით.**

რა არის პაპ ტესტი და რისთვის გვჭირდება იგი, ამ თემებზე არჩილ ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტის ექიმი ნინო დავიდოვა საუბრობს.

**ნინო დავიდოვა:**

– ქალბატონებს თუკი სიცოცხლეში ერთხელ მაინც მიუმართავთ გინეკოლოგისთვის პროფილაქტიკური გასინჯვის მიზნით, ალბათ შესთავაზებდნენ პაპ ტესტის გაკეთებას.

***– რა არის პაპ ტესტი?***

– საშვილოსნოს ყელის კიბო, ქალთა სიმსივნეებს შორის, სტატისტიკურად იკავებს მეორე ადგილს ძუძუს კიბოს შემდეგ. დღესდღეობით არსებობს კვლევის რამდენიმე მეთოდი, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია ამ ვერაგი დაავადების თავიდან აცილება. ერთ-ერთი მათგანია პაპ ტესტი.

– პაპ ტესტი – იგივე პაპანიკოლაუს, იგივე ციტოლოგიური ტესტი – არის საშვილოსნოს ყელის კიბოს ადრეულ სტადიაზე გამოვლენის ერთ-ერთი საშუალება. ტესტმა სახელწოდება მისი აღმომჩენი ბერძენი ექიმის გეორგიოს პაპანიკოლაუს გვარის მიხედვით მიიღო. გამოკვლევა კეთდება საშვილოსნოს ყელიდან გარკვეული წესების დაცვით აღებულ ნაცხში და შემდეგ ხდება მიკროსკოპის ქვეშ აღნიშნული ნაცხის ციტოლოგიური გამოკვლევა ატიპიური ანუ შეცვლილი უჯრედების აღმოჩენის მიზნით. არსებობს პაპ ტესტის კლასიფიკაცია დაზიანების ხარისხის მიხედვით.

***– საჭიროა თუ არა ტესტისთვის წინასწარი მომზადება?***

– განსაკუთრებულ მომზადებას გამოკვლევა არ საჭიროებს, თუმცაღა აუცილებელია გარკვეული პრინციპების დაცვა: პაპ ტესტი არ კეთდება მენსტრუაციის დროს, ტესტის ჩატარებამდე 48 საათის განმავლობაში საჭიროა სქესობრივი ცხოვრებიდან თავშეკავება, გამოკვლევის წინა დღეს არ უნდა იქნეს გამოყენებული ტამპონები, ნებისმიერი ვაგინალური სანთლები, საშოს სანაცია, ნაცხის აღება უნდა მოხდეს სპეციალური ბრაშებით საშვილოსნოს ყელზე სხვა რაიმე ტიპის ჩარევამდე.

***– ვინ უნდა გაიკეთოს პაპ ტესტი?***

– ქალბატონებმა სქესობრივი ცხოვრების დაწყებიდან 3 წლის შემდეგ, თუ რა თქმა უნდა, მანამდე რაიმე ჩივილი ქალს არ აქვს.

49 წლამდე გამოკვლევა ტარდება 3 წელიწადში ერთხელ – წინა გამოკვლევებით დადასტურებული აბსოლუტური ნორმის პირობებში.

50-დან 65 წლამდე 5 წელიწადში ერთხელ.

65 წლის ზემოთ ქალები, რომელთაც ბოლო 10 წლის მანძილზე აქვთ უარყოფითი შედეგი, ანუ საშვილოსნოს ყელის კიბო გამორიცხულია, აღარ საჭიროებენ ტესტის ჩატარებას.

***– რა ხდება, როცა ქალს საშვილოსნოს ყელზე აქვს რაიმე ტიპის ჩარევა?***

– თუ ქალს საშვილოსნოს ყელზე აქვს რაიმე ტიპის ჩარევა – მოწვა, მოყინვა, კონიზაცია, ან ნებისმიერი ტიპის დაზიანება, პაპ ტესტი უნდა გაკეთდეს ყოველწლიურად.

***– პაპ ტესტის გარდა, საშვილოსნოს ყელის კიბოს კვლევის კიდევ რა მეთოდები არსებობს?***

– პაპ ტესტის გარდა, არის ასევე საშვილოსნოს ყელის კიბოს კვლევის სხვა მეთოდები – კოლპოსკოპია, პაპილომავირუსის დნმ ტესტი და ბიოფსია.

***კალეიდოსკოპი***

## ფრანგმა „ადამიანმა ობობამ“ ბარსელონას ცათამბჯენი დაიპყრო



ფრანგმა მთამსვლელმა ალენ რობერმა 20 წუთში მოახერხა სასტუმრო ელია არცელონა სკუ-ზე ასვლა. ცათამბჯენის სიმაღლე 117 მეტრს შეადგენს. ამ მოვლენის ამსახველი ვიდეოჩანაწერი, რომელიც თავად ექსტრემალის მუზარადზე დამაგრებული კამერით იქნა გადაღებული, ალენმა იუთუბიზე საკუთარ არხზე განათავსა.

ვიდეორგოლზე მითითებული თარიღის თანახმად, ფრანგმა ეს ასვლა 2016 წლის აგვისტოში განახორციელა, თუმცა ის მხოლოდ ახლახან გამოაქვეყნა. ვიდეოჩანაწერი იმით მთავრდება, რომ რობერთან პოლიციის თანამშრომელი მიდის და მას საბუთების წარდგენას სთხოვს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „ადამიან-ობობას“ ამ წესრიგის დარღვევისთვის 100-დან 600 ევრომდე ჯარიმის გადახდა ემუქრებოდა, თუმცა ის ყოველგვარი ბრალდების წაყენების გარეშე გაათავისუფლეს.

## ჩინეთში რესტორნებისთვის გამზადებული კატები გადაარჩინეს



ჩინეთის პროვინცია ცზიანსუს ქალაქ ცზიუცზიანში დააპატიმრეს ბოროტმოქმედი, რომლის სახლშიც 500-მდე კატა აღმოაჩინეს. პოლიცია ვარაუდობს, რომ შინაური ცხოველების რესტორნებისთვის კურდღლის ხორცის სახით მიყიდვა იყო დაგეგმილი. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

პოლიციას პირველმა ამის თაობაზე ადგილობრივმა მცხოვრებმა აცნობა. მისი თქმით, მან განგაში მას შემდეგ ატეხა, როდესაც მისი კატები დაიკარგნენ და ამავე დროს მახლობლად მდებარე სახლიდან კატების კნავილის ხმა ისმოდა.

ადგილზე მისულმა პოლიციელებმა დააკავეს ბოროტმოქმედი, რომელიც რამდენიმე ათეულ კატას გასაგზავნად ამზადებდა. კიდევ უფრო მეტი შინაური ცხოველი აღმოაჩინეს მის ბინაში. ისინი გალიებში იყვნენ მოთავსებულები, ხოლო სიცხისგან რომ არ გაგუდულიყვნენ, ვენტილატორი იყო ჩართული. სამართალდამცავებმა აღნიშნეს, რომ სავარაუდო დამნაშავე იტაცებდა არა მხოლოდ უპატრონო, მაწანწალა ცხოველებს, არამედ შინაურებსაც. მათ მისატყუებლად კი ის ბელურებს იყენებდა.

აღსანიშნავია, რომ თითოეული კატის გაყიდვას დამნაშავე 30 იაუნად (4,4 დოლარი) აპირებდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვალერი ურიდია: საახალწლო სამზადისის დროს მივიღე მე-3 ხარისხის დამწვრობა. მივმართე საავადმყოფოს. ორი დღის განმავლობაში მდგომარეობა ძალიან დამიმძიმდა. გვირჩიეს ლამარა თოდუას მალამო. პირველი პროცედურის შემდეგ ვიგრძენი, რომ ტკივილი ნელ-ნელა ქრებოდა. სამი პროცედურის შემდეგ ნორმალური ძილი და ჭამა შევძელი. ლამარა თოდუას მალამომ მთლიანად მომიშუშა დამწვარი ფეხები, ხელის მტევნები და სახე, ისე, რომ ნაწიბურც არ მემჩნევა.**

**თამარ ხარხელი: მყავს 78 წლის ლოგინს მიჯაჭვული დედა. გაუჩნდა ნაწოლები. მივმართე ლამარა თოდუას. მისმა მალამოებმა და ლოსიონმა დედაჩემს შვება მოჰგვარა და ორი კვირის მკურნალობის შემდეგ ნაწოლების ადგილზე სიწითლეც აღარ შეინიშნება.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

**ქეთევან კუდუხოვას**

**მემკვიდრეთა საყურადღებოდ**

07.12.2016 წელს გარდაცვლილი ქეთევან კუდუხოვას (დაბადებული 06.02.1933 წ.) სამემკვიდრეო საქმე იწარმოება ნოტარიუს ოთარ ზოიძესთან (ქ.თბილისი, მარჯანიშვილის ქუჩა №21, მე-4 სართული). დაინტერესებულმა პირებმა ნოტარიუს ოთარ ზოიძეს მიმართეთ 2017 წლის 14 ივლისის ჩათვლით.

## ასტროპროგნოზი
### 15 ივნისისთვის



**ვერძი** – სასიცოცხლო პოტენციალი მაღალია. განსაკუთრებით ნაყოფიერი იქნება დღის მეორე ნახევარი. **კურო** – დღეს მოსალოდნელია ძველი, დავიწყებული კავშირების აღდგენა. ემოციებს გასაქანს ნუ მისცემთ. **ტყუპები** – იმედი გიცრუვდებათ. ნებისმიერი კომერციული საქმიანობა ფინანსურად დაგაზარალებთ. **კირჩხიბი** – ნურაფერს დაგეგმავთ. ეცადეთ, ეს დღე მშვიდ გარემოში გაატაროთ. დაკმაყოფილდით იმით, რაც გაქვთ. **ლომი** – კეთილისმყოფელი დღეა. განსაკუთრებით გიმართლებთ პირად ცხოვრებაში. სასიცოცხლო პოტენციალი მძლავრია. **ქალწული** – უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ოპერაციები იღბლიანი იქნება. იღბლიანი დღეა ასევე საყიდლებზე წასასვლელად, სამოგზაუროდ. **სასწორი** – ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. ერიდეთ სარისკო გადაწყვეტილებების მიღებას. ემოციებს ნუ აჰყვებით. **ღრიანკალი** – აქტიური და შემოქმედებითი თვალსაზრისით წარმატებული დღეა. იზრდება თქვენი პიროვნული ხიბლი. **მშვილდოსანი** – ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ. ერიდეთ ფუჭ საუბრებსა და შეხვედრებს. ეცადეთ, მეტი დრო გაატაროთ ბუნების წიაღში. **თხის რქა** – მნიშვნელოვანი საქმეების მოსაგვარებლად კეთილისმყოფელი პერიოდია. დღე რაციონალურად დაგეგმეთ. **მერწყული** – ფინანსური პრობლემების მოგვარება დიდ დროსა და ენერგიას წაგართმევთ. საჭიროების შემთხვევაში დახმარებისათვის კომპეტენტურ ადამიანებს მიმართეთ. **თევზები** – ეცადეთ, გარშემომყოფებთან მშვიდი და ჰარმონიული ურთიერთობა შეინარჩუნოთ. დღის მეორე ნახევარში სასიყვარულო ურთიერთობაში გაურკვევლობა იჩენს თავს.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. პოპულარული ზღვისპირა კურორტი ნეაპოლის ყურეში; 2. ბნელი ღამე; 3. მიწის სათხრელი მანქანა; 4. ფსიქიკური დაავადების უმძიმესი ფორმა, როდესაც ავადმყოფი დუმს, არ მოძრაობს, არ რეაგირებს ტკივილზე; 5. სამხატვრო გამოფენის გახსნა; 9. ყაზახეთის დედაქალაქი; 12. გარკვეული მიმართულებისა და მდგომარეობის მქონე სწორი ხაზის მონაკვეთი; 14. ირანის პრეზიდენტი; 15. ფულის ერთეული ალბანეთში; 17. საფრანგეთის ფეხბურთელთა გუნდი; 18. მაგიდის სათამაშო ჭადრაკის დაფაზე.

**თარაზულად:** 6. ქვანახშირის, მადნის გადასაზიდი თვითმცლელი სარკინიგზო ვაგონი; 7. პირველი ქართული მხატვრული ფილმი; 8. შრომის, ცხოვრების, დასვენების, კვების მტკიცედ დადგენილი წესი; 10. ამერიკული ავტომობილი; 11. მეტალურგიაში, გამდნარი თუჯიდან ფოლადის მიმღები აპარატი; 13. ნიუ იორკის ერთ-ერთი რაიონი; 16. მსუბუქი ავტომობილის ძარის ტიპი; 19. სპირტიანი სასმელების მწარმოებელი შვედური ფირმა; 20. ოკეანეში მცურავი ყინულის მთა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:**

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. „გალო“; 2. ანაშა; 3. ცეისი; 5. სონეტი; 6. ჯარგვალი; 9. ციმაკურიძე; 10. „ფიუმიჩინო“; 11. „ნოვარტისი“; 14. სკა; 16. ოსტანი; 18. იგლუ.

**თარაზულად**: 1. გუთანი; 4. „ფასკუნჯი“; 7. ღალატი; 8. სვანეთი; 12. ომარი; 13. ისრიმი; 15. ემისია; 17. ბრა; 19. კრიპტოგრამა; 20. ზესხო; 21. ლუხუმი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. კაროჟნა; 2. ფლიდი; 3. ხოდაბუნი; 4. „კრახუნა“; 5. ტონზილიტი; 9. „კრისტი“; 12. „სუფრული“; 14. ქორქია; 15. ევრო; 17. კონკა; 18. ჭკუა.

**თარაზულად**: 6. ფაველა; 7. სომბრერო; 8. მოპედი; 10. დუბაი; 11. „ბაგრატიონი“; 13. ექსპერტი; 16. ბუზუკი; 19. კომუნიკე; 20. „ნაფტუსია“.

# ზაზა ურუშაძის „მანდარინები“ წლის საუკეთესო ფილმად დაასახელეს



იტალიაში ქართველი რეჟისორის ზაზა ურუშაძის ფილმი „მანდარინები“ წლის საუკეთესო ფილმად დაასახელეს.

ინფორმაცია ამის შესახებ ეროვნულმა კინოცენტრმა გაავრცელა.

იტალია მსოფლიოს მასშტაბით წლის საუკეთესო ფილმს უკვე 60 წელზე მეტია ირჩევს და მას პრემიას სპეციალურ ანიჭებს. საუკეთესო ფილმის გამოსავლენად სპეციალური გამოკითხვა ტარდება, რომელშიც ჩართულია არიან კინოკრიტიკოსები, კულტურული სფეროს წარმომადგენლები და რიგითი მაყურებლები. გამარჯვებულად კი წელიწადში ერთხელ – მხოლოდ ერთი ფილმი სახელდება.

იტალიაში დაწესებული ეს პრესტიჟული პრემია წელს ზაზა ურუშაძეს გადაეცა. ამ პრემიის არსებობის განმავლობაში კი ეს ჯილდო მიღებული აქვთ მსოფლიოში აღიარებულ რეჟისორებს – ფედერიკო ფელინის, ფრანჩესკო როსის, პიერ პაოლო პაზოლინის, ინგმარ ბერგმანს, მილოშ ფორმანს, აკირა კუროსავას, რობერტო ბენინის, პედრო ალმადოვარს, სტივენ სპილბერგს...

# კეტი პერიმ ქართველი დიზაინერების კოსტიუმი მოირგო



უკვე აღარავის უკვირს, რომ ქართველი დიზაინერების კოსტიუმებით მსოფლიოში ცნობილი ვარსკვლავები ინტერესდებიან.

დემნა გვასალიას, დევიდ კომას კოსტიუმებს თამამად ირგებენ რიანა, სელენა გომესი, ჯენიფერ ლოპესი, ბელა ჰადიდი.

ცნობილმა მომღერალმა კეტი პერიმ კი თავის ერთ-ერთ ბოლო კონცერტზე ქართველი დიზაინერების კოსტიუმი მოირგო. ლოს-ანჯელესში გამართულ კონცერტზე მომღერალს ნინა და გვანცა მაჭარაშვილების დიზაინით შეკერილი სამოსი ეცვა. დები სამოსს ქართული ბრენდის სახელით „მაჩ ენდ მაჩ“ აწარმოებენ, რაც მათი გვარების საწყისი ასოების კომბინაციაა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# კოლორადოში დათვი მასობრივ გარბენში ჩაერთო

ამერიკის კოლორადოს შტატში შავი დათვი გამოვარდა გზაზე, რომელზეც გრძელ დისტანციაზე მასობრივი გარბენი იმართებოდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

დონალდ სანბორნმა, რომელიც შემთხვევის თვითმხილველი გახდა, განაცხადა, რომ თავდაპირველად დათვი მორბენლებს თვალს ბუჩქებიდან ადევნებდა. ის ვერ ბედავდა გზაზე გადასვლას, სანამ ადამიანების რაოდენობა არ შემცირდა.



სანბორნმა ფეისბუქში გარბენის რამდენიმე ფოტოსურათი გამოაქვეყნა. მათზე ჩანს, რომ რამდენიმე მორბენალმა სირბილი შეანელა, რათა ცხოველი გაეტარებინათ, ზოგიერთი უბრალოდ თვალს აყოლებდა დათვს, რომელიც გარბენში ჩაერთო, რამდენიმე კი შეჩერდა მისთვის სმარტფონით სურათის გადასაღებად.

16 კილომეტრიანი დისტანციის მარშრუტი პარკზე „ღმერთების ბაღი“ გადიოდა, რომელიც ქალაქებს კოლორადო-სპრინგსა და მანიტუ-სპრინგს ერთმანეთისგან ყოფს. სანბორნის თქმით, ის პირველად შეეჩეხა დათვს მასობრივი გარბენის დროს, თუმცა ამავე დროს ვარჯიშის დროს არც თუ იშვიათად ხვდებიან გარეულ ცხოველებს, მათ შორის ირემს და წითურ ფოცხვერებს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# რუსკა მაყაშვილი დედა გახდება



რუსთაველის თეატრის მსახიობი რუსკა მაყაშვილი დედა გახდება.

მსახიობი ამჟამად რუსთავი 2-ის სახეა და „ნიჭიერის“ ჟიური და „იქს ფაქტორის“ წამყვანია.

რუსკას ორსულობის შესახებ მისმა გულშემატკივრებმა მას შემდეგ გაავრცელეს ინფორმაცია, რაც მსახიობმა განიერი სამოსის ტარება დაიწყო.

გავრცელებულ ინფორმაციას ნათელი თავად მსახიობმა მოფინა, სოციალურ ქსელში ფოტო გამოაქვეყნა, რომელსაც მიაწერა, რომ 6 თვის ორსულია და მალე დედა გახდება. როგორც მოსალოდნელი იყო, მსახიობმა ბევრი მილოცვა და დადებითი სურვილები მიიღო.

რუსკა მაყაშვილი სანდრო ნიჟარაძეზე ორი წლის წინ შემოდგომაზე დაინიშნა, საახალწლოდ კი წყვილმა დაქორწინება გადაწყვიტა. რუსკას ხასიათიდან გამომდინარე, წყვილმა უარი თქვა ტრადიციულ ქორწილსა და ჩაცმულობაზე და ორივე მათგანმა ის ჩაიცვა, რაშიც თავს ყველაზე მეტად კომფორტულად გრძნობს.

რუსკასა და სანდროსთვის ეს პირველი შვილია.

# ბაგრატის ტაძარში წყალი ჟონავს



ბაგრატის სამონასტრო კომპლექსის მთავარი ტაძრის დარბაზში წყალი ჟონავს. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ამის მიზეზი 2012 წელს სარეაბილიტაციო პროცესის დროს დაშვებული სამშენებლო ხარვეზებია.

წვიმის დროს გუმბათის თითქმის ყველა სარკმელზე გაჩენილი ღიობებიდან ნალექი ტაძრის ინტერიერში შედის და კედლებს აზიანებს. გუმბათის ყელის შიდა სეგმენტებზე თვალნათლივ ჩანს წყლის ლაქები.

სპეციალისტების დასკვნით, გაჩენილი ხარვეზების მიზეზი, სარეაბილიტაციო პროცესის ნაჩქარევად განხორციელებაა, რომლის დროსაც ტაძრის გუმბათზე გამოუშრალი ხის მასალის სარკმლები დამონტაჟდა. კიდევ უფრო სერიოზულია დაზიანებების კვალი ტაძრის ახალ მინაშენზე, სადაც ახლად წარმოქმნილი ღიობებიდან ნადენი ნალექის ლაქები შედარებით უფრო დიდ ფართობებზეა გამოვლენილი.

ადგილზე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და რეაბილიტაციის განმახორციელებელი კომპანიის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ. შპს „არქიტექტორები და კომპანია“-მ არსებული ნაკლოვანებები დაჩქარებულ ვადებში უნდა გამოასწოროს. აღნიშნულ ვალდებულებას სამშენებლო ჯგუფს საკათედრო ტაძრის რეაბილიტაციის პროცესის დაწყებამდე გაფორმებული ხელშეკრულება აკისრებს.

16 ივნისს მხარეები თბილისში კიდევ ერთ სამუშაო შეხვედრას გამართავენ, რომლის დროსაც უფრო კონკრეტულად განისაზღვრება აღდგენითი მეთოდოლოგია.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კალეიდოსკოპი

# პორტუგალიაში ხარმა მამაკაცი, რომელიც სურათს უღებდა, რქებზე წამოაგო



პორტუგალიის კუნძულ ტერსეირაზე ხარმა მამაკაცი, რომელიც მას აიპოდის კამერით უღებდა, დააშავა. მომხდარის ვიდეოჩანაწერი ერთ-ერთმა თვითმხილველმა იუთუბიზე გამოაქვეყნა

როგორც ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა წერს, ხარი დასდევდა მამაკაცს, რომელსაც მწვანე ფერის ქსოვილი ეჭირა და ცხვირწინ უფრიალებდა. როდესაც ის ცხოველს გაექცა, ხარმა თავის ყურადღება იქვე მახლობლად მდგომ მაყურებელზე გადაიტანა, დაეტაკა და რქებით მაღლა აისროლა.

თუ როგორ მდგომარეობაშია მამაკაცი, რომელმაც სხვების დაუხმარებლად წამოდგომა ვერ მოახერხა, უცნობია. ვიდეორგოლი 100 ათასზე მეტმა ადამიანმა ნახა.

# აშშ-ში მსოფლიოში ყველაზე გრძელი პიცა გამოაცხვეს



ამერიკის კალიფორნიის შტატის ქალაქ ფონტანაში მსოფლიოში ყველაზე გრძელი პიცა გამოაცხვეს. მისმა სიგრძემ 2092 მეტრი შეადგინა.

ამ რეკორდის დამყარებაში რამდენიმე ათეული მზარეული მონაწილეობდა. მათ პიცის მომზადება 11 ივნისის საღამოს 7 საათზე დაიწყეს და მხოლოდ მეორე დილით დაამთავრეს. ამ ღონისძიების სპონსორობა პიცისთვის განკუთვნილი ღუმლების მაღაზიის დამაარსებელმა ფეშ ასვადიმ იკისრა, რომელმაც მზარეულები საჭირო ინგრედიენტებით: ყველით, სოუსით და ფქვილით მოამარაგა.

კულინარიული მიღწევა გინესის რეკორდების წიგნის წარმომადგენელმა დააფიქსირა, რომელიც მის მომზადებას ესწრებოდა. აღსანიშნავია, რომ კონკურსის მონაწილეებს აკრძალული ჰქონდათ შეუჭმელი და გამოუყენებელი პროდუქტების გადაყრა. ყველაფერი ღარიბებს დაურიგდათ.

# ტაივანის პოლიციაში სამსახურში ლაბრადორის ლეკვი მიიღეს




კუნძულ ტაივანის ქალაქ სინბეიში ლაბრადორის პატარა ლეკვი პოლიციის ადგილობრივ განყოფილებაში სამსახურში მიიღეს. ერთ-ერთმა ადგილობრივმა გამოცემამ მას „ყველაზე საყვარელი პოლიციელი ძაღლი“ უწოდა.

ლაბრადორის ლეკვის სახელად ფუსინის სურათებმა, რაც ჩინურად „ბედნიერ ვარსკვლავს“ ნიშნავს, სოციალურ ფეისბუქში დიდი პოპულარობა მოიპოვეს. სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები, სადაც ფუსიონთან ერთად სხვა ლეკვებიც მიიღეს სამსახურში, რეგულარულად აქვეყნებენ მათ სურათებსა და ვიდეოჩანაწერებს. თითოეული მათგანი საშუალოდ 30 ათასზე მეტ ნახვას აგროვებს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ლეკვებს ნარკოტიკებისა და სხვა აკრძალული ნივთიერებების მოსაძებნად გაწვრთნიან.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## პროგრამა

**ხუთშაბათი 15 ივნისი**

**07.00** დოკ/ფ "შემდეგი გაჩერება ენტონი ბურდეინთან ერთად" **08.00** მადაგასკარის პინგვინები **09.00** დილის მოამბე **10.00** პირადი ექიმი. **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **12.30** ტელემანი **12.45** კაცების დრო **13.50** დღე მუზეუმში **14.20** სიტყვების თამაში **15.00, 02.05** "C სტუდია" **16.15** ეკონომეტრი **16.30** ჰოპლა! ჩვენ ვცოცხლობთ **17.00, 03.05** რეალური სივრცე **18.30** ხანმოკლე XX საუკუნე **20.40** სპორტის დაფა **21.00** ტ/სერ. "**ველვეტი**" **22.00** "ინტერვიუ სალომე ასათიანთან" **22.30** ვექტორი **23.00** უცნობი მუსიკა **00.30** მხ/ფ "**მებრძოლი თევზი**"

**08.00**დოკ/ფ "ზეთი სიამაყე" **09.00**დოკ/ფ "ყალმუხეთის ბუდისტი ბერები" **10.00**"გეოფაქტორი" **10.15**დოკ/ფ "ჯანმრთელობა ევროპაში" **11.05**დოკ/ფ "ბერები ლაბორატორიაში" **12.00, 22.00** ტ/სერ. "**კედრის ყურე**" **13.00**ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.00**დოკ/ფ "ლურჯი დუნაი და გარეული ცხენები" **15.00**დოკ/ფ "ჩვენი ყოველსლიური საწამლავი" **17.00**დოკ/ფ "მონდრეანის სახელოსნოში" **18.00**დოკ/ფ "ევროპა XX დამალული ეპიდემია" **19.00**"თავისუფალი ტრიბუნა" **20.00**"მოამბე" **21.00**"არგუმენტების დრო" **23.00**"მოამბე" (3 ენაზე) **00.00**"ნამდვილი დრო" **00.30**ტ/სერ. "**კატერინა და მისი ქალიშვილები**"

**05.50, 14.40** სერ. "**ელიფი**" **07.30** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 04.10** ქრონიკა **08.20, 09.20** იმედის დილა (გაგრძელება) **10.05** სერ. "**პატარძალი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** იმედის დღე **17.35** სერ. "**სტამბოლის ორი სახე**" **18.50, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **23.30** სპორტი იმედზე **00.30** მხ/ფ "**იძულებითი ომი**" **02.20** მხ/ფ "**ელიზა გრეივსი: დაწყევლილი სავანე**" **04.25** მხ/ფ "**მთასვლელი**"

**06.00, 18.30** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **06.45, 19.57** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ფერიჰას საიდუმლო**" **15.30** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**დაკარგული წლები**" **22.00** პროფილი

**08.00** ან/სერ. ვარსკვლავური ომები **09.00** სერ. "**ერთხელ ზღაპარში**" **13.00** სერ. "**ჩიკაგოს მეხანძრეები**" **15.00** სერ. "**ანტიმაფია**" **17.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" **19.00** სერ. "**შავი სია**" **21.00** სერ. "**მაფიოზა**" **22.30** მხ/ფ "**ფილომენა**" **00.20** მხ/ფ "**გააანალიზე ეს**" **02.15** მხ/ფ "**გააანალიზე ის**" **04.05** მხ/ფ "**შოუ იწყება**" **05.50** მხ/ფ "**ქალღური შუადღე**"

**06.15** ქრისტიანული სწავლება **06.25** მუს. პაუზა **06.40** პატერიკიდანანებული მოწყალება **06.45** აქტუალური თემა "თამბაქო" **07.25** ქართული ალბომი **07.50** სამყაროს შექმნა **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტყველება **08.30** "განთიადი" **10.10** პორტრეტები ერთსულოვნების გალერეადან "ხვარამზე" **10.40** საღვთისმეტყველო საუბრები **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ "**მთვარის მოტაცება**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.00** ბავშვები მუზეუმში **15.05** ქართული ან/ფ **15.25** ტრაპეზი "სტაფილოს და ვაშლის სალათი" **15.35** დ/ფ "ველური ბუნება"-მიწის მგელი **16.00** კონცერტი **16.25** ქრისტიანული ხელოვნება **17.30** ჩვენი ფონდი **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**მთვარის მოტაცება**" **20.40** ძილი ნებისა **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.15** წმინდანები **22.20** ჩვენი საგანძური **22.40** კვირიაკეს სიუჟეტი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.40** ივერიის ეკლესია "ძეგლი ჭეშმარიტი სარწმუნოებისა " **00.30** დ/ფ "კეთილმოწყალე უფალი" I **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

**7.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები-33" **8.15** დოკ/ფ "კაცი,ქალი,ბუნება" **9.00** სერ. "**ორი გული**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 2.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30, 18.30, 20.30, 22.50** სერ. "**მარისა** " **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **21.50** თოქ-შოუ "ცეცხლის ხაზი" **0.00** "კონტაქტი" **0.30** დოკ/ფ "მედიუმი ლონგ აილენდიდან" **2.00** "კონტაქტი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**15 ივნისისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.4062

ევრო — 2.6986

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0523

100 რუსული რუბლი — 4.2188

## ამინდის პროგნოზი 15 ივნისისთვის





**1 ივნისიდან**

ონორე დე ბალზაკი
**გამქრალი ოცნებანი**
წიგნი I




**ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი**

**6 ივნისიდან**




ონორე დე ბალზაკი
**გამქრალი ოცნებანი**
წიგნი II

**ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი**

**9 ივნისიდან**

საქართველოს მეფეთა ისტორია




**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**


## იუმორი



ფოსტაში მუშაობის დაწყების მსურველი გასაუბრებაზე:

— ბოდიშით, დამაგვიანდა.

— მიღებული ხართ!

•••

ორი და საუბრობს. უმცროსი გაუთხოვარი და უფროსს, გათხოვილს ეკითხება:

— როგორია სექსი? ალბათ კარგია, როდესაც გათხოვილი ხარ?

— ეგ ყოველთვის კარგია, იმის მიუხედავად, გათხოვილი ხარ თუ გასათხოვარი.

•••

ფსიქიატრთან მიღებაზე მამაკაცი ექიმს უყვება:

— ექიმო, ყოველ ღამე ერთი და იგივე საშინელება მესიზმრება.

— მაინც რას ნახულობთ?

— ჩემი სიდედრი საბელით ნიანგს ასეირნებს. აბა წარმოიდგინეთ, ეს დაკრეჭილი კბილები, ეს მუჭუტული და სიძულვილით მომზირალი თვალები, ეს ცივი აჯაგრული, ხორკლიანი კანი!!!

— ჰოო, მართლაც საშინელებაა!..

— დაიცათ, ექიმო, ჯერ ნიანგზე არაფერი მითქვამს!..

•••

ცოლი ქმარს ურეკავს და ეკითხება:

— ძვირფასო, ჩვენი მანქანის ნავიგატორს ხელი ახელი?

— ჰო, საყვარელო, მაინტერესებდა, რა მანძილი იყო თბილისიდან ფოთამდე.

— ჰოდა, ახლა ფოთში ვარ...

•••

დირექტორმა მოსწავლეებს ახალი მასწავლებელი წარუდგინა:

— ბავშვებო, ეს იქნება თქვენი ახალი მასწავლებელი.

— ჰოო, ფიგურა კარგი აქვს, — წამოიძახა გოგომ.

— თავად შევარჩიე!

•••

ქალს ტელეფონზე ურეკავენ:

— ალო! მომისმინე, ლამაზო. ჩვენ შენი ქმარი მძევლად გვყავს აყვანილი. თუ გინდა, რომ ცოცხალი დაგიბრუნოთ, ერთი საათი გაქვს იმისთვის, რომ ჩვენი მოთხოვნები შეასრულო.

— თანახმა ვარ, რა მოთხოვნები გაქვთ?

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.



**15 ივნისიდან**




ფილიპ ჩესტერფილდი
**წერილები ჩემს ვაჟს**

**ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი**


## მარკო ვერატი ბარსელონაში გადასვლასთან ახლოს არის




იტალიელი ნახევარმცველი მარკო ვერატი ბარსელონაში გადასვლასთან ახლოს არის. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ვერატიმ გადაწყვიტა, რომ მას ბარსელონაში სურს კარიერის გაგრძელება და ამის შესახებ განცხადებაც გააკეთა.

ახლა ჯერი პსჟ-ზე და ბარსელონაზეა, რომლებიც ტრანსფერის ფასზე უნდა შეთანხმდნენ. ფრანგული გუნდი ამ ტრანსფერში 100 მილიონ ევროს ითხოვს, ბარსელონა კი 80 მილიონზე მეტის გადახდას არ აპირებს, ამიტომ ვერატის ბარსელონაში გადასვლა შეიძლება გაიწელოს. ვერატის იტალიური გუნდებიდანაც ჰქონდა შემოთავაზებები, მაგრამ მან ბარსელონა არჩია.

## მანუელ პელეგრინი შესაძლოა კრისტალ პალასის მწვრთნელი გახდეს



მანუელ პელეგრინი შესაძლოა ინგლისში დაბრუნდეს და კრისტალ პალასს ჩაუდგეს სათავეში, რომელიც ამჟამად მწვრთნელის გარეშეა.

პელეგრინი ჩინურ გუნდში მუშაობს, მაგრამ ევროპაში სურს დაბრუნება და ის აქტიურად განიხილავს კრისტალ პალასის ვარიანტს.

პელეგრინი ამჟამად 63 წლის არის და მისი ბოლო გუნდი ევროპაში მანჩესტერ სიტი იყო, რომელთან ერთადაც 2014 წელს მან პრემიერ ლიგა მოიგო.

2016 წლის დასაწყისში ცნობილი გახდა, რომ პელეგრინი სიტის დატოვებდა და მის ადგილს ხოსეპ გვარდიოლა დაიკავებდა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ნიკა კაჭარავათი გლაზგო რეინჯერსი დაინტერესდა



საქართველოს ნაკრების ფორვარდით ნიკა კაჭარავათი შოტლანდიური ფეხბურთის გრანდი გლაზგო რეინჯერსი დაინტერესდა. კაჭარავა ამჟამად კვიპროსის ეთნიკოსში თამაშობს და გასულ სეზონში მან 16 გოლის გატანა მოახერხა, რითიც უფრო ძლიერი გუნდების ყურადღება დაიმსახურა.

ჯერჯერობით დეტალები ცნობილი არ არის, მაგრამ პრესაში რამდენჯერმე გაიჟღერა იმ ინფორმაციამ, რომ კაჭარავას შეძენა რეინჯერსის ერთ-ერთი მთავარი მიზანია ამ ზაფხულში. კაჭარავათი რამდენიმე პოლონური გუნდიც არის დაინტერესებული.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კაილი ჯენერმა ბიკინიში გადაღებული სელფი გამოაქვეყნა



ამერიკელი ტელევარსკვლავის კიმ კარდაშიანის დამ კაილი ჯენერმა ინტერნეტში გამოაქვეყნა სელფი, რომელშიც ის ბიკინებშია გამოწყობილი.

ფოტოსურათისთვის თანდართულ მინაწერში ჯენერმა აღნიშნა, რომ მოუთმენლად ელის იმ დროს, როდესაც საცვლებისა და ჩასაცმელების მისი საკუთარი ხაზი ახალი კოლექციით შეივსება. ცნობილია, რომ მან თავის და კენდელთან ერთად ინტერნეტმაღაზია აამუშავა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ა




**შვეულად:** 1. დედათა მონასტერი ფარავნის ტბის მახლობლად; 2. კუნძულოვანი სახელწოდება წყნარ ოკეანეში; 3. უსქესო, ვეგეტატიური გამრავლების გზით წარმოშობილი შთამომავლობა; 5. ცისკრის, განთიადის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 6. ხერხემლის გამრუდება; 9. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი მესხეთში; 10. ბუნებრივი ნაკრძალი კახეთში; 11. მრავალხმიანობა მუსიკაში; 14. ყოველკვირეული ქართული ჟურნალი; 16. ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ფუძემდებელი მეცნიერი, აკადემიკოსი; 18. გალავნით შემოსაზღვრული ძველი თბილისის უბანი.

**თარაზულად:** 1. ფულის ერთეული შვეიცარიაში; 4. ალპინისტთა ლაშქრობა რამდენიმე მწვერვალის გავლით; 7. ტბა იტალია-შვეიცარიის საზღვარზე; 8. წყლის ბინადართა საერთო სახელწოდება, რომელთაც დინების საწინააღმდეგო მიმართულებით შეუძლიათ გადაადგილება; 12. ყველაზე დიდი ტბა იტალიაში; 13. ზღვა თურქეთსა და საბერძნეთის სანაპიროებთან; 15. გერმანელი ფიზიკოსი კვანტური ფიზიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 17. ელექტრონული წინაღობის საზომი ერთეული ფიზიკაში; 19. ინდური იგავ-არაკების კრებული; 20. საცხოვრებელი მასივი თბილისში; 21, ბრაზილიური არაყი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*